არტურ შნიცლერი

ფერხული.

ათი დიალოგი.

ავტორის სურათით.

თარგმანი ია ეკალაძე-ცინცაძისა.

გამოცემა ს. ზ. ბერძნიშვილისა.



ტფილისი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძ. № 1.
1907



არტურ შნიცლერი.

მკითხველთადმი.

ამ თხზულებამ ააალაპარაკა მთელი ევროპა და რუსეთი. განათლებულ ქვეყნების კრიტიკა აღტაცებით მიეგება ამ ჩვენის დროის „დეკამერონს“ და დიდებულ წიგნად აღიარა. აი, რასა სწერს ერთი გერმანული გავლენიანი გაზეთი:

„მარტივისა და მხატვრულის ენით ბ-ნი შნიცლერი მოგვითხრობს სხვა და სხვა წრისა და წოდების ქალთა და ვაჟთა სქესებრივ დამოკიდებულებას, აღგვიწერს მათ თვალთ-მაქცობასა და გარყვნილებას, მათ სულიერსა და ხორციელ დაკნინებას. როსკიპი და სალდათი, სალდათი და მოახლე, მოახლე და მისი ბატონი-ჭაბუკი, ჭაბუკი და ქმრიანი ახალგაზდა ქალი, ეს ქალი და ქმარი, ქმარი და სატრფიალო არსება, სატრფიალო არსება და პოეტი, პოეტი და მსახიობი-ქალი, მსახიობი-ქალი და თავადი შეადგენენ ერთ **ფერხულს**, რომლის უკანასკნელ კვანძად გამოდიან თავადი და როსკიპი. ჩვენ წინ იხდება ფარდები სხვა-და-სხვა გვარ მყუდრო საწოლთა და გვესმის უუსაიდუმლოესნი გულისთქმანი ადამიანთა. სიყვარული პიტალო და კონკრეტიული, ათ გვარად დასურათხატებული, აი—თემა ამ წიგნისა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი სინამდვილითაა აწერილი და მომქმედთა მიერ ნათქვამ-ნაგრძნობი უაღრესს ხის-

წორითაა გადმოცემული,— ერთ უწმაწურ და უხეშ სიტყვასაც ვერ გაიგონებთ, რაც შეადგენს განსაკუთრებულ და გასაოცარ ღირსებას ამ წიგნისას. ვითომ და შეყვარებულ ქალ-ვაჟთა ოინები, თვალთმაქცობა და ხრიკები შეიძლება ჯერ ისე არავის დაესურათებინოს, როგორც ეს მოახერხა სულის დოსტაქარმა შნიცლერმა, ეხება რა ისეთს სფერას ჩვენის ცხოვრებისას, რომელიც ხელოვნებისათვის დღევანდლამდე terra incognita იყო".

ჩემის მხრით კი დავუმატებ შემდეგს: სულის სიმშვიდეს,— ამ ყველაზე უდიდეს ბედნიერებას,— მხოლოდ მაშინ ვიაღწევს ადამიანი, როცა ზედ მიწევნით შეეძლება წაიკითხოს მეორე ადამიანის გულის-ნადები, როცა დანამდვილებით ეცოდინება, ვისთანა აქვს საქმე: ნამდვილ ანგელოზთან, თუ ეშმაკთან, ვინაიდან ანგელოზებიცა და ეშმაკებიც ჩვენ თვითონვე ვართ. შეიძლება ეს ჩემი მოსაზრება ერთგვარი „უტოპია", მიუწდომლობაც იყოს, მაგრამ თუ შნიცლერისთანა გულთამხილავი მწერლები მწერლობის ყველა დარგში გამოჩნდებიან, მაშინ ზემოთ ნათქვამი ასე მიუწდომლად აღარ გვეჩვენება და თვითოეულის კაცის გულის-პასუხი თვალ-წინ გადაგვეშლება....

რამდენადაც ვიცნობ ჩვენ მკითხველებ'ა და საზოგადოებას,— ვიცი, ბევრი მათგანი ტუჩ-აკვრით შეხვდება ამ წიგნს, მაგრამ ვურჩევ: გულდადებით

წაიკითხონ და მაშინა სთქვან: ღირს თუ არა გამათრახება იმ ნაკლულოვანებათა, რომელთაც ასე სასტიკად დასცინის ბ-ნი შნიცლერი.

რაც შეეხება კერძოდ იმ „ვითომდა წმინდანებს“, რომელნიც ცოდვების გამოსყიდვას მხოლოდ ლოცვა-ვედრებითა სცდილობენ, პირზე მარტო „ზნეობა და სიფაქიზე“ აკერიათ და ამ გვარი წიგნები მავნებლად მიაჩნიათ, ვკრჩევ: ჯერ თავის-თავს ჩაუკვირდნენ და მერე არ დაივიწყონ ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანის გულის-პასუხის გასაგებათ საჭიროა ჩვენი სულის ისეთივე ანალიზი, ისეთივე დაქრა-დაკუწვა, როგორადაც ჰკუწავენ ხოლმე ექიმები ადამიანის გვამს ანატომიის შესასწავლად...

ია ეკალაძე-ცინცაძე.

16 თიბათვე, 1907 წ. ქ. ტფილისი.

ფერხული

ათი დიალოგი.

მოქმედნი:

რუსკიპი.

სალდათი.

მოახლე.

ჯაგუკი.

ახალგაზდა ქმრიანი ქალი.

ქმარი.

სატრფიალო არსება.

პოეტი.

მსახიობი-ქალი.

თავადი.

როსკიპი და სალდათი.

შუა-ღამეა. აუგარტენის სიდიან.

სალდათი. (შტვენით შინისკენ მიდის).

როსკიპი. მშვენიერო, შენ გეტრფი!...

სალდათი. (მოიხედავს და ისევ გზას განაგრძობს).

როსკიპი. განა, ჩემთან წამოსვლა არ გინდა?

სალდათი. აა!... მე მეუბნები?

როსკიპი. მაშ ვისა?... გამომყევ, აქვე ახლოსა ვდგავარ...

სალდათი. არა მცალიან. ყაზარმაში მიგვიანდება.

როსკიპი. ყაზარმასაც მოესწრობი... ჩემსას, ვგონებ, უკეთესი იქმნება.

სალდათი. (მიუახლოვდება) აბა რაღა თქმა უნდა!

როსკიპი. სსუ... ცოტა ხმა-დაბლა ილაპარაკე, პოლიციელმა არ დაგვიჭიროს.

სალდათი. პოლიციელმაო? რა სათქმელია, განა მე-კი არა მაქვს ხმალი!

როსკიპი. მაშ, წავიდეთ რაღა!

სალდათი. თავი დამანებე. სულ ერთია, ფული არა მაქვს.

როსკიპი. მე ფული არ მინდა.

სალდათი. ფული არ გინდა? განა, ვინა ბრძანდები?

როსკიპი. ფულებს სხვებს ვართმევ. შენისთანებს კი შეუძლიათ მუქთადაც...

სალდათი. შენ სწორედ ის უნდა იყო, ვის შესახებაც გუბერმა მითხრა, რომ...

როსკიპი. ვინ გუბერია? მე გუბერს არავის ვიცნობ!

სალდათი. ნუ ეშმაკობ! ნამდვილად ისა ხარ... გახსოვს, მრუდე ქუჩის ყავახანიდან შინ რომ გაჰყევ?...

როსკიპი. ოლოლო, შენ საქმეს! ვინ იცის ყავახანიდან რამდენ ვისმე გავყოლივარ...

სალდათი. მაშ... აბა, წავიდეთ... წავიდეთ რაღა!

როსკიპი. ბიჭოს! ახლა შენ აჩქარდი?

სალდათი. მაშ, რაღას ვიცადო? ათ საათზე ყაზარმაში უნდა ვიყო.

როსკიპი. დიდი ხანია, რაც მსახურობ?

სალდათი. რაში გეკითხება? შორსა დგახარ?

როსკიპი. სულ ათი წუთის სავალი არ იქმნება.

სალდათი. არა... შორი გზა ყოფილა. აბა, ერთი — დამტლოშნე!

როსკიპი. (ჭკოცნის) რატომაც არა! თუ კი ვინმე მომწონს, იმისი კოცნა დიდათაც მესიამოვნება...

სალდათი. მე-კი არ მესიამოვნება... ასეა თუ ისე, მაინც ვერ წამოგყვები: ძლიერ შორსა მდგარხარ.

როსკიპი. ჯანი გაგვარდეს, ხვალ დილით მაინცა მნახე.

სალდათი. ბაშუსტა!... შენი ადრესი?

როსკიპი. ადრესი რად გინდა. ვიცი მომატყუებ, არ მოხვალ...

სალდათი. როცა გპირდები...

როსკიპა. იცი რა გითხრა? თუ ახლა წამოსვლა გეზარება, მაშ... მაშ... (უჩვენებს მდინარე დუნაიზე).

სალდათი. იქ რა არის?

როსკიპი. იქ ამ ჟამად ძეხორციელი არ ჰმნება.

სალდათი. არა, ეგ მოუხერხებელია.

როსკიპი. ჩემის აზრით კი —ყოველთვის ყველაფერი მოსახერხებელია. ჰა, დღეივე დარჩიმეთქი... ვინ იცის, ხვალ კიდევ ცოცხლები ვიცნებით, თუ არა?!

სალდათი. კარგი, წავიდეთ, მაგრამ ჩქარა კი...

როსკიპი. ფრთხილად! ძალზე ბნელა... თუ ფეხი აგვიცდა, შეა წყალში გადავცვივით.

სალდათი. ეგ ყველას ემჯობინება.

როსკიპი. დაიცა! ცოტა კიდევ მოითმინე... მგონია, სკამს ვუახლოვდებით.

სალდათი. გეტყობა, აქაურობა კარგად გცნობებია.

როსკიპი. ნეტა მედამ შენისთანა საყვარელი მყავდეს.

სალდათი. ეჰვიანობით სულს ამოგართმევდი.

როსკიპი. ნუ გეშინია,—მალე გადაგაჩვევდი.

სალდათი. ჰმ!...

როსკიპი. იყუჩე!... ხანდისხან აქ დარაჯი დახეტიალობს ხოლმე... ვინ იტყვის, რომ ახლა შუა ვენაში ვართ?

სასეირნო ბაღი. კვირა საღამოა.

საზაფხულო, გასართობ სახლიდან მისდევს გზა ყრუ ხეივნებისაკენ. მოისმის მუსიკის ხმა. უკვრენ ჩვეულებრივ „პოლკას“.

სალდათი. მოახლე.

მოახლე. აბა, ახლა მითხარით, რად გინდოდათ, რომ უეჭველად აქეთ წამოვსულიყავით?

სალდათი. (დარცხვენილი, სულელურად იღრიჭება).

მოახლე. იქ ყოფნა უფრო სასიამოვნო არ იყო? მერე, რომ იცოდეთ, რა გაგიჟებით მიყვარს ცეკვა?!

სალდათი. (წელზე ხელსა ჭრეგს).

მოახლე. (ნებას აძლევს) აქაც ხომ არ ვცეკვავთ, აგრე მაგრა რად მეხუტებით?

სალდათი. რა გქვიანთ? კატი?

მოახლე. თქვენ სულ კატი გაგონდებათ.

სალდათი. ჰო, ვიცი... ვიცი... მარი.

მოახლე. უჰ! როგორა ბნელა! თან, რალაც შიში მიპყრობს...

სალდათი. როცა ჩემთანა ხართ, ნურაფრისა ნუ გეშინიათ. მადლობა ღმერთს, თავის დაცვას მოვახერხებთ.

მოახლე. სადღა მივდივართ, ქა!.. ძე-ხორციელი არა სჩანს... უკან დავბრუნდეთ.. ახ, როგორა ბნელა!

სალდათი. (ისე მაგრა მოსწყვეს ჰაჰირთსს, რომ იქაურობა თითქმის განათდება) ხედავ, აღარა ბნელა... ჩემო საუნჯევ!

მოახლე. ახ, რასა სჩადიხართ?.. ასე რომ მკოდნოდა...

სალდათი. ღმერთმა მკითხოს თუ დღეს იქ შენისთანა მომხიბლავი ვინმე ყოფილიყოს, ჩემო მარი!

მოახლე. განა ყველა ასრე გასინჯეთ?

სალდათი. ცეკვის დროს ქალი ადვილი გასასინჯია... მაშინ ადამიანი ბევრ რამეს ამჩნევს... ჰმ...

მოახლე. მაშ, იმ ეკლამსა და ქერა-ქალს ჩემზე მეტს რად ეთამაშებოდით?

სალდათი. ის ერთის ჩეჩის მეგობრის კარგი ნაცნობთაგანია.

მოახლე. აი, ულვაშებ დაწკეპილი პოლიციელი რომ იყო, იმისი?

სალდათი. არა!.. იმისი, გახსოვს, ჩემ გვერდზე რომ იჯდა... აი, ძალზე ჩახლეწილი ხმა რომა ჰქონდა.

მოახლე. ჰო, ახლა კი მივხვდი! ის კაცი მეტისმეტი ურცხვი-კი უნდა იყოს!

სალდათი. იქნება გაწყენინათ რამე? ოხ, რომ მცოდნოდა, სულ კბილებს ამოვამტვრევდი! მითხარით, მარი, რა დაგიშავათ?

მოახლე. მე?.. არაფერი! მხოლოდ სხვებს-კი უდიერად ეჭცეოდა.

სალდათი. ძვირფასო მარი! მოდი ერთი...

მოახლე. პაპიროსი მომარიდეთ... ლამის სახე დამწვათ...

სალდათი. Pardon, საყვარელო მარი!.. მოდი და **შენობით** ვილაპარაკოთ...

მოახლე. ჯერ ჩვენ ისე დაახლოვებულნი არა ვართ.

სალდათი. ზოგს ერთმანეთი ჭირივითა სძულს, მაგრამ მაინც **შენობით** ლაპარაკობენ.

მოახლე. შემდეგში... მერე, როცა ჩვენ... ახ, ბატონო ფრანც!

სალდათი. თქვენ უკვე დაიხსომეთ ჩემი სახელი?

მოახლე. დიახ, ბატონო ფრანც...

სალდათი. გთხოვთ, შინაურულად, მარტო ფრანცი მიწოდოთ ხოლმე.

მოახლე. ცოტა თავ-დაჭერით იყავით... კმარა მეთქი! ერთიც ვნახოთ, ვინმემ გამოიაროს...

სალდათი. ვინც უნდა იყოს, ორ ნაბიჯზე ვერას გაარჩევს.

მოახლე. კარგი-მეთქი!.. თუ ღმერთი გრწამს... სად მივალთ?

სალდათი. აგერ იქ ჩვენგვარი წყვილი დასეირ-ნობს.

მოახლე. სადა? მე ვერავისა ვხედავ...

სალდათი. აგერა იქ, ჩვენ წინ.

მოახლე. მერე, რად უწოდებთ ჩვენ-გვარ წყვილს?

სალდათი. მე მგონია, იმათაც ერთმანეთი უნდა უყვარდეთ.

მოახლე. ფრთხილად! ეს რა არის? კინაღამ არ წავიქეცი?!

სალდათი. გზა ყოფილა შეკრული... ბალახებია...

მოახლე. თქვენ მაინც ნულარ მაწვებით, ღმერთ-მანი, წავიქცევი.

სალდათი. იყუჩე, გეთაყვა!.. აგრე ნუ ხმაურობთ...

მოახლე. გეფიცებით, ახლავე დავიყვირებ... აბა, რას სჩადიხართ... რას მიშვრებით-მეთ-ქი!?

სალდათი. ახლა აქ ძე-ხორციელი არ არის.

მოახლე. მაშ უკანვე გავბრუნდეთ... ხალხთან მი-ვიდეთ.

სალდათი. რად გვინდა, მ̇არი, ხალხი?... ჩვენ გვინ-და... იმისათვის... ჰმ, ჰმ...

მოახლე. ნუ, ბატონო ფრანც!.. ღვთის გული-სათვის, მოითმინეთ... ასე რომ მცოდ-ნოდა... ახ... ვაი...



სალდათი. (სიამოვნებით) უჰ... ნეტარებავ...ა...ა...

მოახლე. ...შენ სახეს ვერა ვხედავ...

სალდათი. ეჰ, სახე... რა საჭიროა...

სალდათი. ახლა აღარ ადგები, ქალო? სულ ხომ მაგ ბალახებში არ იწვები?

მოახლე. ფრანც, ამაყენე.

სალდათი. აბა, წამოდექი.

მოახლე. ოხ, ღმერთო ჩემო, ფრანც...

სალდათი. რა იყო? რას დაიჟინე: ფრანც... ფრანც.

მოახლე. დიდი მაცდური ვინმე ყოფილხარ, ფრანც!

სალდათი. ძალიან კარგი, თუ კი აგრე გგონია... ცოტა მომითმინე.

მოახლე. თავს რად მანებებთ?

სალდათი. გიჟი ხარ? პაპიროსიც აღარ მოვწიო?

მოახლე. აქ ძალზე ბნელა.

სალდათი. არა უშავს-რა! ხვალ დილით აქაურობა კვლავ განათდება.

მოახლე. ფრანც, ხომ გიყვარვარ?

სალდათი. ეგ შენვე უნდა გეგრძნო, ჩემო მარი, დიახ...

მოახლე. ახლა სად მივდივართ?

სალდათი. საიდანაც მოვედით... უკანვე...

მოახლე. გეთაყვა, აგრე ჩქარა ნუ მიდიხარ.

სალდათი. მაშ რა გნებავს?.. რა სასიამოვნოა ბნელაში ხეტიალი...

მოახლე. მითხარი, ფრანც, გიყვარვარ, თუ არა?

სალდათი. წელან არ გითხარი: მიყვარხარ-მეთქი!

მოახლე. ერთი მაინც მაკოცე!

სალდათი. (მოწყალებით) აჰა! გესმის? მუსიკას ისევ უკვრენ.

მოახლე. იქნება ცეკვას კიდევ აპირებ?... არაკი შეგრცხვება!

სალდათი. რასაკვირელია... რატომ არ უნდა ვიცეკვო?

მოახლე. იცი, ფრანც, მე სახლში უნდა წავიდე... ჩხუბს დამიწყებენ... ისეთი უდიერი ქალბატონი მყავს, რომ არც კი უნდა შინიდან კარში გავდიოდე.

სალდათი. რახან აგრეა, წადი შინ.

მოახლე. სახლამდე მაინც გამაცილე!...

სალდათი. ჰმ...

მოახლე. ხომ იცი, მარტო სიარული მოსაწყენია.

სალდათი. სადა სცხოვრობთ?

მოახლე. აი აქვე... ახლოს, პოროცელანგასსზე.

სალდათი. ერთი გზა გვქონია, მაგრამ ჩემთვის ჯერ ადრეა... ცოტა კიდევ უნდა წავიქეიფო. თორმეტამდე თავისუფალი ვარ და ყაზარმაშიაც არ მომიკითხავენ. წავალ, ერთს კიდევ გავიკუნტრუშებ...

მოახლე. კარგად მესმის თქვენი გულის პასუხი: ჯერი ახლა იმ ელამ ქალზე მიდგა, განა?

სალდათი. ისე ელამიც არ არის...

მოახლე. ღმერთო, რა საძაგლები ხართ მამაკაცები! ყველა ქალებს ასე ეჭცევით?

სალდათი. ეგ მეტის მეტი იკმნებოდა.

მოახლე. გეთაყვა, ფრანც, დღეს იკმარე... დარჩი ჩემთან!

სალდათი. ძალიან კარგი, მაგრამ... ცეკვის ნება ხომა მაქვს?

მოახლე. მე დღეს აღარ ვიცეკვებ.

სალდათი. აგერა ისიც...

მოახლე. რა?

სალდათი. საცეკვაო სახლი! რა მალე მოვედით? ი' ევ იმას უკვრენ. (დამდერის) ტა-და-რა-და, ტა-და-რა-და!... ასე და ამ გვარად, თუ დამიცდი, სახლამდე მიგაცილებ, თუ არა და... მშვიდობით.

მოახლე. კარგი მოგიცდი. (ორივენი საცეკვაო დარბაზში შედიან).

სალდათი იცი, მარი? თუ განდა, ერთი ჭიქა ლუდი მოითხოვე... (ქერა ქალს, რომელიც ვიდაც უმაწვილს ეტეკვება და სალდათს გვერდზე ჩამოუქროლებს—ადერსიანად): ქალბატონო, ნებას მიბოძებთ, უმორჩილესადა გთხოვოთ?...

მოსალი და ჭაბუკი.

ნაშუადღევია. ცხელა. დედ-მამა ეგარაკად არიან წასულნი. დღეს მზარეული-ქალიც თავისუფალია. მოახლე სამზარეულოში თავისს საყვარელს — სალდათს — წერილსა სწერს. ჭაბუკ-ბატონის ოთახიდან მოისმის ზარის რეკა. მოახლე ადგება და ჭაბუკის ოთახისაკენ გასწევს, ჭაბუკი დივანზე წევს, თან ჰავანიროსს ბოლავს და თან ფრანგულ რომანს კითხულობს.

მოახლე. რას გვიბრძანებთ, ბატონო?

ჭაბუკი. თქვენა ხართ, მარი? დიახ... მე ვრეკდი... რა მინდოდა?... ჰო, აი, რა! ფარდები ჩამოაფარეთ, მარი,!... როცა ფარდები ჩამოშვებულია, ისე აღარა ცხელა ხოლმე... დიახ... (მოახლე მიეკ ფანჯრებთან და ფარდებს ჩამოუშვებს).

ჭაბუკი. (კოსტას განაგრძობს) მარი, რასა შვრებით? ჰო... დიახ... მაგრამ ისე ჩამობნელდა, რომ წიგნის წაკითხვა აღარ შეიძლება.

მოახლე. დიდად ბეჯითი ყმაწვილი კი ბრძანდებით, ჩემო ბატონო!

ჭაბუკი. (სიამოვნებით უსმენს) ბეჯითობა კარგი რამ არის...

მოახლე. (ეკიდის)

ჭაბუკი. (კითხვის განგრძობას ტდილობს, მაგრამ მალე წიგნს სელიდან გაგდებს და კვლავ რეკს.

მოახლე. (ისევ შემოდის).

ჭაბუკი. აი, რა, მარი... ჰო, რა უნდა მეთქვა? დიახ, რა მინდოდა?... იცი, რა?... კონიაკი არა გვაქვს?

მოახლე. გვაქვს, მაგრამ შკაფშია ჩაკეტილი.

ჭაბუკი. გასაღები ვისა აქვს?

მოახლე. ლინას.

ჭაბუკი. ვინ არის ლინა?

მოახლე. მზარეული-ქალი, ბატონო ალფრედ.

ჭაბუკი. მაშ, უთხარით ლინას, რომ...

მოახლე. ლინა დღეს თავისუფალია.

ჭაბუკი. დიახ... მაშ აგრე...

მოახლე. იქნება გნებავთ, ყავახანიდან მოგართვათ რამე?

ჭაბუკი. შეწუხებად არა ღირს... ისედაც ცხელა... კონიაკი აღარ მინდა. იცით, მარი, რა გითხრათ?.. ერთი ჭიქა წყალი მომიტანეთ. მოითმინეთ.. ონკანიდან ჯერ ბევრი წყალი ჩამოუშვით, რომ ცივი იყოს.

(მოახლე გადის).

ჭაბუკი. (თვალს გაიყოლებს. კარებთან მოახლე მოისვლის. ჭაბუკი სიჩქაროდ თვალს აარიდებს და ჭერს მიაჩერდება. მოახლე ონკანიდან წყალს უშვებს. მერე მიდის თავის ოთახში,

სკელ სელებს იწმენდავს, სარკის წინ ტანისამოსსა და ხუჭუჭა თმებს ისწორებს, მერე ავსებს ჭიქას წყლით, ბატონთან მიაქვს და დივანს ძალზე უახლოვდება.)

ჭაბუკი. (ნახევრად წამოდგება. მოახლე ჭიქას აწოდებს. მათი თითები ერთმანეთისას მოხვდება). გმადლობთ.—რა მითხარით? — ფრთხილად, არ დაღვაროთ... ჭიქა ლამბაქზე დასდგით... (ისევ დაწვება და იზმორება). რომელი საათია?

მოახლე. ხუთი საათი გახლავთ, ბატონო.

ჭაბუკი. ჰო, ხუთია? ძალიან კარგი?...

მოახლე. (მიდის; კარებთან შესდგება, მოისედავს და ჭაბუკს გაუცინებს,

ჭაბუკი. (რამდენიმე ხანს წევს, მერე წამოდგება, მივა კარებთან, ისევ გამობრუნდება და დივანზე დაწვება. წიგნის კითხვასა ცდილობს, მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ კვლავ ზარს აწკარუნებს).

მოახლე. (შემოდის, დაუფარავის ღიმილით).

ჭაბუკი. მოითმინეთ, მარი, რალაც უნდა მეკითხნა... ჰო... დღეს დილით, ექიმი შილლერი ხომ არ მოსულა?

მოახლე. არა, ბატონო, დღეს დილით არავინა გხლებიათ.

ჭაბუკი. ჰმ... საკვირველია! მაშ ექიმი შილლერი

არა ყოფილა? მაგრამ, იქნება არც კი იცნობთ ექიმ შილლერს.

მოახლე. როგორ არ ვიცნობ, რა ბრძანებაა! მაღალ-მაღალია... შავი, ფართე წვერები აქვს.

ჭაბუკი. დიახ, დიახ... იქნება იყო კიდეც? ჰა, როგორა გგონიათ?

მოახლე. არა, ბატონო, არავინ არა გხლებიათ.

ჭაბუკი. (გადაკრით) მომიახლოვდით, მარი.

მოახლე. (უფრო ახლოს მიდის) რა გნებავთ, ბატონო?

ჭაბუკი. ახლოს... ახლოს... მე მეგონა რომ...

მოახლე რა გეგონათ?..

ჭაბუკი. მე მეგონა... მე მეგონა, რომ თქვენი ზედა-ტანი... რა ჩითია? რა არის ახლა... მომიახლოვდით-მეთქი. ნუ გეშინიათ, არ გიკბენთ.

მოახლე. (მიუახლოვდება) ჩემი ზედა-ტანი? არ მოგწონთ, ბატონო?

ჭაბუკი. (ზედა ტანზე ხელს ჰკიდებს და მიიზიდავს) ლურჯია? მშვენიერება რამ არის ლურჯი ფერი!.. (მოურიდებლად) კოხტად-კი იცვამთ, მარი.

მოახლე. ეჰ, ბატონო...

ჭაბუკი. რა იყო?.. (ზედა ტანის ღილებს გაუხსნის და დინჯის კილოთი). რა მშვენიერი თეთრი კანი გაქვთ, მარი!..

მოახლე. ...ღირსი არავარ თქვენის ქებისა, ბატონო...

ჭაბუკი. (გულზე ჭკოტნის) ასე ვფიქრობ... მე მგონია... ხომ არა გატკინეთ-რა?..

მოახლე. არა, ბატონო, რა ბრძანებაა!

ჭაბუკი. მაშ, რისთვის ოხრავთ?

მოახლე. ეჰ, ბატონო, ალფრედ...

ჭაბუკი. რა მშვენიერი და კოხტა ფეხსაცმელებიც გაცვიათ...

მოახლე. უი... ბატონო... უცბად რომ ვინმე მოვიდეს?..

ჭაბუკი. ვინ უნდა მოვიდეს?...

მოახლე. ბატონო... ხედავ... სინათლეა

ჭაბუკი. მერე რას მერიდები... შენისთანა ლამაზი არავისაც არ უნდა მოერიდოს... ღმერთს გეფიცებით, მარი, თქვენ... იცი რა გითხრა?... თმებიც კი სუნნელოვანი გაქვთ.

მოახლე. ბატონო, ალფრედ...

ჭაბუკი. ცულლუტობას თავი დაანებეთ, მარი! მე თქვენ ამას წინად დაგინახეთ და... ერთ ღამეს გვიან დავბრუნდი... წყლის დასალევად გამოვედი... თქვენი ოთახისაკენ გამოვიარე, კარები ღია გქონდათ და, აი, მაშინ...

მოახლე. (სახეზე ხელებს დაიფარებს.) ღმერთო ჩემო, როგორ წარმოვიდგენდი, რომ

თქვენ, ბატონო, ასეთი მოურიდებელი იქმნებოდით...

ჭაბუკი. მაშინ ბევრი რამ დაგინახეთ...

მოახლე. ნუ... ნუ... ბატონო, ალფრედ!..

ჭაბუკი აქეთ მოიწი... აი ასე... ასე...

მოახლე. ახლა რომ ვინმე მოვიდეს და ზარი ჩამორეკოს?

ჭაბუკი. გეთაყვა ნუ ურჩობთ... თქვენ... კარებს ნუ გაულებთ-რა!..

(ისმის ზარის რეკა)

ჭაბუკი. დაგლახვროს ღმერთმა, ვილაც ოხერი ხარ!.. რა თავგამოდებითა რეკს... ალბათ დიდიხნის მოსული იქმნება და ჩვენ-კი ვერ გავიგეთ.

მოახლე. არა, ყური სულ კარებისკენ მეჭირა.

ჭაბუკი. კარების ჭუჭრუტანიდან მაინც გაიხედეთ, ვინ ეშმაკია?

მოახლე. ბატონო ალფრედ, თქვენ, მგონი, კარგად ვერ...

ჭაბუკი. გთხოვთ გაიხედოთ.

მოახლე. (მიდის).

ჭაბუკი. (ფარდებს სარკეზე გადასწევს).

მოახლე. (ისევ მობრუნდება). ალბად წავიდა. არავინ არის. იქმნება ექიმი შილლერიც იყო?

ჭაბუკი. (უკმაყოფილოდ). რაღა ეშველება.

მოახლე. (ჭაბუკს უახლოვდება).

ჭაბუკი. (განზე გაიწევს) მარი, მე ამ წუთას ყავახანაში უნდა წავიდე.

მოახლე. (ნაზად) თქვენ უკვე ბატონო ალფრედ?

ჭაბუკი. (მკაცრად) დიახ, ამ წუთას მივდივარ. თუ ექიმი შილლერი მოვიდეს...

მოახლე. ის დღეს აღარ მოვა.

ჭაბუკი. (უმკაცრესად). თუ ექიმი შილლერი მოვიდეს, უთხარით, რომ მე... მე... მე ყავახანაში ვიქნები .(შედის მეორე ოთახში. მოახლე მაგიდიდან აიღებს ერთ სიგარას, მოუკიდებს და გადის).

ჭაბუკი და ახალგაზდა ქმრიანი ქალი

სადმოა. მდიდრულად მორთული დარბაზი შეინდგასსეს ქუჩის ერთ-ერთ სახლისა, შემოდის ჭაბუკი. ჯერ ქუდსა და პალტოს არ იხდის. ლამპრებს ანთებს. მეორე ოთახის კარებს გაღებს და შიგ იხედება. ამ ოთახის გაპრიალებულ იატაკზე სანთლის შუქი ატიმტიმდება და კუთხეში მდგომ საწოლს უწევს. ჭაბუკი საწოლს გულმოდგინეთ ათვალიერებს. მერე ტრიუმოდან აიღებს საშხაპუნებელს და იის სურნელებით ასხურებს საბნებსა და საწოლს. ამავე სურნელებას ასხურებს ორთავე ოთახის კედლებსა და კუთხეებს, ასე რომ ოთახი იის სუნით იყელინთება. შემდეგ ჭაბუკი იხდის ქუდსა და პალტოს, გადაწვება საგერდის საგარძელში და პაპიროსს უკიდებს. ერთ წუთაზე ისევ წამოხტება და რწმუნდება, რომ ფანჯრის ფარდები ჩამოშვებულია. უცბათ გავარდება საძილო ოთახში, გამოსწევს საღამურ მაგიდის უჯრას, გადაჩხრიკავს, ამოიღებს კუს ძვლისაგან გაკეთებულ ქალის თმის ქინძისთავს, ერთხანს ჰფიქრობს საად დამალოგო და მერე თავის პალტოს ჯიბეში ინახავს. მერე აღებს დარბაზში მდგომ შკაფის კარებს, იღებს იქიდან ვერცხლის ლანგარს, ერთ ბოთლ კონიაკს, ორ პაწია ჭიქას და ყველა ამაებს მაგიდაზე ალაგებს. კვლავ მიდის თავის პალტოსთან, ჯიბიდან ამოიღებს რაღაც თეთრ ბარკს და კონიაკის გვერდზე სდებს. ამის შემდეგ იმავე შკაფიდან გადმოალაგებს ორ თეფშს და სტო-

ლის ბრიბორს. ბარკიდან იღებს დაშაქრულ წაბლს და სჭამს. დაესხავს ერთ ჭიქა კონიაკს, უცბად გადაჭარავს, სათს დახედავს და ბოლთის ცემას დაიწყებს. დიდი სარკის წინ ჯიბის საგარცხლით ისწორებს თმასა და ბაწია ულვაშებს. მერე მიდის შეშოსავალ კარებთან და ეურს წაუგდებს. სიჩუმეა. მობრუნდება და საძილო ოთახის კარების მწვანე ფარდებს გადასწევს. ისმის ზარის წკარუნი. ჭაბუკი ოდნავ შეკრთება, მერე ჩაჯდება საგარძელში და მხოლოდ მაშინ ადგება როცა კარი გაიღება და შემოვა ახალგაზდა ქმრიანი ქალი.

ახ. ქმ. ქ. (სქელი ბიბანდე აქვს გაკეთებული. კარებს მიჭეტავს, ერთ წუთს შეჩერდება და გულზე მარცხენა ხელს დაიდებს, თითქოს ჭსურს გულის ცემა და მღელვარება შეიყენოსო).

ჭაბუკი. (მიდის მასთან, არიმევს მარცხენა ხელს, რომელზედაც თეთრი, შავი ეკავილებით მოქარგული ხელთათმანი აცვია, ჭკოცნის ამ ხელზე და ნელის ხმით ეუბნევა): გმადლობთ... გმადლობთ.

ახ. ქმ. ქ. ალფრედ, ალფრედ!...

ჭაბუკი. მობძანდით... მობძანდით...

ახ. ქმ. ქ. ერთ წუთს კიდევ მადროვეთ!—გთხოვთ, გეევედრებით, ალფრედ! (ისევ კარებთანა სდგას).

ჭაბუკი. (სდ ას ქალის წინაშე. ხელში მისი ხელი უჭირავს).

ახ. ქმ. ქ. სადა ვარ?

ჭაბუკი. ჩემსას.

ახ. ქმ. ქ. რა საზარელია ეს სახლი, ალფრედ.

ჭაბუკი. რათაა საზარელი? ეს სახლი ყოვლად პატიოსანი სახლია.

ახ. ქმ. ქ. კიბეზე ორი ყმაწვილი კაცი შემხვდა.

ჭაბუკი. ნაცნობები თუ?

ახ. ქმ. ქ. არვიცი. შეიძლება ნაცნობებიც იყვნენ.

ჭაბუკი. Pardon, ქალბატონო! მაგრამ, ნუ თუ თქვენ ნაცნობებს ველარ იცნობდით?

ახ. ქმ. ქ. თვალით ვერაფერს ვარჩევდი.

ჭაბუკი. თქვენი კარგი მეგობრებიც რომ ყოფილიყვნენ, მაგ სქელ პირბადის ქვეშ მაინც ვერ გიცნობდნენ, მეც თითონ... დარწმუნებული რომ არ ვიყო, რომ ეს თქვენა ხართ... ეს პირბადე...

ახ. ქმ- ქ. ორი პირბადე მაქვს,

ჭაბუკი. მობრძანდით ცოტა აქეთ... შლიაპა მაინც მოიხადეთ.

ახ. ქმ. ქ. რას ამბობთ, ალფრედ? აკი გითხარით ხუთი წუთის მეტს ვერ დავრჩები... გეფიცებით.

ჭაბუკი. მაგრამ პირბადე

ახ. ქმ. ქ. ორი პირბადე მაქვს.

ქაბუკი. ჰო— და ორივენი მოიხსენით. დაგინახოთ მაინც.

ახ. ქმ. ქ. გიყვარვართ, ალფრედ?

ჭაბუკი. (ძალზე ცუდ-ნატკენი) ემმა! განა კიდევა მკითხავთ?

ახ. ქმ. ქ. უჰ, როგორ ცხელა!

ჭაბუკი. თქვენ კი ისევ ბეწვიანი ტალმა გასხიათ... გაცივდებით აქედან წასვლისას.

ახ. ქმ. ქ. (მიდის შუა ოთახისაკენ და სავარძელში გადაესვენება.. ძალზე დავიღალე.

ჭაბუკი. ნებას მომცემთ? (ხსნის პირბადეს, შლიპიდან ქინძის თავებს აძრობს, ხდის შლიპასაც და უველა ამათ ცვერდზე აწყობს),

ახ. ქმ. ქ. (არ ეწინააღმდეგება).

ჭაბუკი. (სდგას მის წინაშე და თავს აქნევს).

ახ. ქმ. ქ. რა მოგდით, ალფრედ?

ჭაბუკი. ასეთი მშვენიერი არასოდეს არა ყოფილხართ.

ახ. ქმ. ქ. ნუ თუ?

ჭაბუკი. ძლივს ერთად არა ვართ, ემმა! ერთად, მარტოდ-მარტონი! (მის წინ ცალ მუხლზე დადგება, აიღებს მის ხელს და მსუბუქად უკოცნის).

ახ. ქმ. ქ. ახლა კი ნება მომეცი, წავიდე.., რაცა მთხოვეთ, ხომ აგისრულეთ?

ჭაბუკი. (კალთაში თავს ჩაუდებს).

ახ. ქმ. ქ. თქვენ დამპირდით, რომ კარგად მომექცევით.

ჭაბუკი. დიახ...

ახ. ქმ. ქ. ამ ოთახში ადამიანი სიცხით დაიწვის...

ჭაბუკი. რადგანაც თქვენ ისევ ტალმა გასხიათ...

ახ. ქმ. ქ. აჰა, შლიაპის გვერდით დასდეთ.

ჭაბუკი. (სდის ტალმას და დივანზე სდებს).

ახ. ქმ. ქ. ახლა კი მშვიდობით.

ჭაბუკი. ემმა, ემმა!..

ახ. ქმ. ქ. ხუთი წუთი დიდი ხანია გავიდა.

ჭაბუკი. არა, ჩემო ემმა! ჯერ ერთიც არ გასულა!

ახ. ქმ. ქ. დანამდვილებით მითხარით, რომელი საათია?

ჭაბუკი. სწორედ შვიდის ნახევარია.

ახ. ქმ. ქ. დამგვიანებია... აქამდის ჩემ დასთან უნდა ვყოფილიყავ.

ჭაბუკი. თქვენ დას ეიმისოდაც ხშირად ნახულობთ ხოლმე...

ახ. ქმ. ქ. ღმერთო ჩემო!.. რათ, რათ მომიყვანეთ აქამდე, ალჟირედ...

ჭაბუკი. იმიტომ, რომ მე თქვენ... გაღმერთებთ, ემმა.

ახ. ქმ. ქ. ვინ იცის ესევე სიტყვები რამდენისათვის გითქვამთ?

ჭაბუკი. მას შემდეგ, რაც თქვენ გიხილეთ, არავისთვის...

ახ. ქმ. ქ. ოხ, რა მსუბუქი ხასიათის ადამიანი ვარ! ერთი კვირის წინად... ან გუშინ... ეს სიტყვები ვისმე რომ ჩემთვის ეთქვა...

ჭაბუკი. თქვენ-კი გუშინ-წინ დამპირდით...

ახ. ქმ. ქ. რავქნა, რომ თქვენ ასე მაწუხებდით... მე-კი ეს არ უნდა ჩამედინა... ღმერთმა ხომ იცის, მე ეს არ მინდოდა... გუშინაც გადავწყვიტე რომ... იცი რა გითხრა, გუშინ საღამოთი ვრცელი წერილიც-კი მოგწერე...

ჭაბუკი. არავითარი წერილი არ მიმიღია.

ახ. ქმ. ქ. კარგი კი იყო, რომ გამომეგზავნა, მაგრამ მაშინვე დავხიე.

ჭაბუკი. არა, ძალიან კარგი გინებებიათ, რომ დაგიხევიათ. ასე სჯობია.

ახ. ქმ. ქ. არა, არა, ალფრედ, არა სჯობია, ეს ცუდი საქციელია ჩემის მხრივ... მგონია ჭკუა დავკარგე. მშვიდობით ალფრედ, დამითხოვეთ...

ჭაბუკი. (ხელს მოხვევს და სახეს გატაცებით უკოცნის).

ახ. ქმ. ქ. მაშ... აგრე ასრულებთ თქვენ სიტყვას?..

ჭაბუკი. ერთხელ კიდევ მაკოცნინეთ... მხოლოდ ერთხელ.

ახ. ქმ. ქ. აჰა, უკანასკნელი იყოს. (ჭაბუკი ჰკოცნის. ქალიც უპასუხებს, მათი ტუჩები ერთმანეთს შეხვდება. სანატრელი კოცნა).

ჭაბუკი. ჩემო ემმა, მართალი გითხრა,—მხოლოდ ახლა ვიგრძენ, რაცა ყოფილა ბედნიერება.

ახ. ქმ. ქ. (სავარძელში გადაესვენება).

ჭაბუკი. (სავარძელზე ჩამოჯდება და მაკრა მოეხვევა) ანუ უკეთ რომა ვსთქვა, ახლა მივხვდი, რაც უნდა იყოს ბედნიერება...

ახ. ქმ. ქ. (ღრმათ ამოოხრებს).

ჭაბუკი. (კვლავ ჭკოტნის).

ახ. ქმ. ქ. ალფრედ, ალფრედ, რას მიშვრებით?

ჭაბუკი. ახლა ხომ ხედავ რომ ჩემსას ისე ცუდი არა ყოფილა... აქ სრულებით უზრუნველ ყოფილი ვართ... ასეთი ჩვენი ყოფნა ათასჯერა სჯობია ჩვენ, ცის ქვეშ დანიშნულ, პაემანებს.

ახ. ქმ. ქ. ოხ, ნულარ გამახსენებთ...

ჭაბუკი. მე კი დიდის აღტაცებით ვიგონებ ჩვენ მიერ ერთად გატარებულ დროს და თვითოეული მისი წუთი ნეტარებით მავსებს.

ახ. ქმ. ქ. გახსოვს, ტეხნიკოსთა მეჯლისზე რა კარგი დრო გავატარეთ?

ჭაბუკი. გახსოვსო? მაშინ მე თქვენ გვერდზე ვიჯექი. თქვენმა ქმარმა შამპანიური დამისხა და...

ახ. ქმ. ქ. (სკამეულურის თვალით შეხედავს).

ჭაბუკი. მე მხოლოდ შამპანიურზე ვლაპარაკობ. ემმა, კონიაკი არ გინდათ?

ახ. ქმ. ქ. მხოლოდ ერთი წვეთი, მაგრამ ჯერ ერთი პიქა წყალი მომიტანე.

ჭაბუკი. წყალი? ოხ, ნეტა, სადა დგას სუფლე?.. ჰო... ვიცი (გადასწვეს საძიდო ოთახის კარების მიმე ფარდებს და შედის).

ახ. ქმ. ქ. (თვალს გააყოლებს).

ჭაბუკი. (გამოდის, გამოაქვს ფეხელე და ორი ჭიქა).

ახ. ქმ. ქ. სად იყავით?

ჭაბუკი. მეორე ოთახში... (ჭიქას ფეხლით ავსებს).

ახ. ქმ. ქ. ალფრედ! ახლა ერთ რამესა გთხოვთ, მაგრამ შემომფიცე, რომ მართალს მეტყვი.

ჭაბუკი. გეფიცებით...

ახ. ქმ. ქ. აქ, ამ ოთახში, ჩემამდე სხვა ქალი არა ყოფილა?

ჭაბუკი. ემმა, ნუ დაივიწყებ, რომ ეს სახლი ოცი წლის აშენებულია.

ახ. ქმ. ქ. ნუ თუ არ გესმის, ალფრედ რასაც გეკითხები? შენთან! შენ დროს?

ჭაბუკი. ჩემთან! ჩემ დროს? ემმა, განა ეკვიცკი გაქვს?

ახ. ქმ. ქ. მაშასადამე... თქვენ... მაგრამ, არა; ალარასა გკითხავთ... ჩემთვის ისა სჯობია... მე თითონა ვარ დამნაშევე... ყველაფერი მევე უნდა გამოვისყიდო.

ჭაბუკი. რას ამბობთ? რა გემართებათ? რა უნდა გამოისყიდოთ?

ახ. ქმ. ქ. არა, არა, არა! მე არ მინდა დავრწმუნდე ჩემ ეჭვებში... თორემ აქ მოსვლას, ქვესკნელში ჩავარდნა მერჩივნა.

ჭაბუკი. (ხელში ~~ხელ~~ ეჭირავს და ნადვლიანად ~~ფიქრ~~ აქნევს) ემმა! თქვენ რომ იცოდეთ, როგორა მტანჯავთ!

ახ. ქმ. ქ. (ჭიქას კონიაკით ავსებს).

ჭაბუკი. აი, რა გითხრათ, ემმა! თუ თქვენ აქ ყოფნისა გრცხვენიათ, თუ თქვენ არაფრად არ მაფასებთ და გრძნობთ, რომ თქვენ არა ხართ ერთად ერთი ჩემი ნეტარება ამ ქვეყნად, მაშინ, უკეთესია, რომ წახვიდეთ...

ახ. ქმ. ქ. დიახ, ასედაც მოვიქცევი.

ჭაბუკი. (ხელს ხელში წაავლებს) მხოლოდ... თუ გრძნობთ, რომ მე უთქვენოდ სიცოცხლე არ ძალმიძს, თუ გრწამთ, რომ თქვენი ერთი კოცნა მთელი ქვეყნის დედაკაცების ალერსს მირჩევნია, მაშინ... ემმა, მე არა ვგევარ იმ ყმაწვილ-კაცებს, რომლებიც ქალების თავ-ბრუს დასხმას სცდილობენ, მე, შეიძლება, დიდი გულუბრიყვლოც ვიყო... მე...

ახ. ქმ. ქ. შენც რომ ისეთი ვიყო, როგორიც სხვა ახალგაზდები არან, მერე?

ჭაბუკი. ისეთი რომ ვიყო, მაშინ თქვენ ხომ დღეს ჩემთან არ იქმნებოდით, იმიტომ რომ თქვენ სხვა დედაკაცებს არა ჰგევხართ.

ახ. ქმ. ქ. მერე, თქვენ ეგ საიდან იცით?

ჭაბუკი. (მიჰყავს იგი დივნისკენ და გვერდზე მოუჯდება) მე თქვენ გამო ძალიან ბევრსა ვფიქრობ... მე ვიცი, რომ თქვენ უბედური ხართ.

ახ. ქმ. ქ. (გაოცებული) დიახ... მართალია.

ჭაბუკი. ცხოვრება ისეთი ცარიელებაა, ისეთი არარაობაა,—დაბოლოს, ისეთ ხან-მოკლეა, დიახ, იმდენად წუთიერია, რომ.. არსებობს მხოლოდ ერთი ბედნიერება— იპოვნო ისეთი კაცი, რომელიც შენ შეგიყვარებდეს.

ახ. ქმ. ქ. (იღებს სტოლიდან დაშაქრულ მსხალს და პირთან მიაქვს).

ჭაბუკი. ნახევარი მე მიბოძეთ?!. (ქალი ნახევარს ტუჩებით გაუწოდებს).

ახ. ქმ. ქ. (ხელს წაავლებს ჭაბუკს და განგებ) რას სჩადიხარ, ალფრედ... განა ამას მპირდებოდით?

ჭაბუკი. (მსხალს გადაყლაპავს, გაბედვით) ცხოვრება ისეთი ხან-მოკლეა, რომ...

ახ. ქმ. ქ. მაგრამ ეგ ხომ საბუთად არა კმარა...

ჭაბუკი. (გაფანტვით) დიახ, რასაკვირველია...

ახ. ქმ. ქ. (უფრო სუსტად) ალფრედ, თქვენ ხომ დამპირდით, რომ კარგად მომექცევოდით... ოხ, ეს სინათლეც...

ჭაბუკი. ოხ, ჩემო შეუდარებელო (დივნიდან წამოუვლებს).

ახ. ქმ. ქ. რასა შვრებით?

ჭაბუკი. იმ ოთახში უფრო ბნელა.

ახ. ქმ. ქ. განა აქ მეორე ოთახიც არის?

ჭაბუკი. (მიჭყვავს) მშვენიერი და თანაც სულ ბენელი.

ახ. ქმ. ქ. ისა სჯობია, რომ აქვე დავრჩეთ.

ჭაბუკი. (სასიდო ოთახში, ფარდის იქით ლიფს უხსნის).

ახ. ქმ. ქ. თქვენ?.. რას მიშვრებით, ალფრედ!

ჭაბუკი. გეველრები, ემმა!

ახ. ქმ. ქ. მაშ დამაცადე... დამაცადე მაინც... (ჩურჩულით) მომშორდი, მერე დაგიძახებ.

ჭაბუკი. ნება მომეცი მოგეშველო... ნება მომეცი შენ მე... (ადარ ისჭვენებს) ნება მომეცი მე... შენ... მოგეშველო.

ახ. ქმ. ქ. შენ ყველაფერს დამახევ.

ჭაბუკი. განა კარსეტს არ ატარებ?

ახ. ქმ. ქ. ჩემ დღეში არ მიტარებია; ოდილონიც არ ატარებს. აბა, ფეხსაცმელის ღილები გაშიხსენ.

ჭაბუკი. (ფეხთა ხდის და ფეხებზე ჭკოტნის)

ახ. ქმ. ქ. (ლოგინში აჩქარებით ჩაწვება). ოხ, როგორა მცივა!

ჭაბუკი. მალე დაგთბებათ.

ახ. ქმ. ქ. აგრე გგონია? (ჩუმად იცინის).

ჭაბუკი. (ქალის კილოთი გულ-ნატკენი, თავისთვის) ეს კი არ უნდა ეთქვა. (ბნელაში ტანისამოსს იხდის).

ახ. ქმ. ქ. ოხ, მოდი, მოდი ჩემთან!...

ჭაბუკი. (უკეთესს გუნებაზე დგება) ამ წუთში.

ახ. ქმ. ქ. აქ იის სუნია.

ჭაბუკი. შენ აგრე გგონია (მასთან) შენ თითონ...

ახ. ქმ. ქ. ალფრედ, ალფრედ!..

ჭაბუკი. ჩემო ემმა!..

ჭაბუკი. ალბად ძალიან მიყვარხარ... გონება თუ დავკარგე...

ახ. ქმ. ქ. ?!...

ჭაბუკი. ამ უკანასკნელ დროს გიჟივით დავიარები. მე ამასა ვგრძნობდი.

ახ. ქმ. ქ. ძალიანაც ნუ იჯავრებ.

ჭაბუკი. რასაკვირველია, არ ვიჯავრებ. მე რომ...

ახ. ქმ. ქ. არა... არა... შენ ძლიერ აღელვებული ხარ, მხოლოდ დამშვიდება გჭირია...

ჭაბუკი. სტენდალი არ წაგიკითხავს!

ახ. ქმ. ქ. სტენდალი?

ჭაბუკი. სიყვარულის პსიხოლოგია.

ახ. ქმ. ქ. არა. რათ მეკითხები?

ჭაბუკი. იქ ერთი ნიშნობლივი ამბავია მოთხრობილი.

ახ. ქმ. ქ. რა ამბავი?

ჭაბუკი. ერთ დროს შეიკრიბნენ, თურმე, ცხენოსანთა ჯარის აფიცრები...

ახ. ქმ. ქ. მ ერე? მერე?

ჭაბუკი. და დაიწყეს, მსჯელობა: ვის რამდენი საყვარელი ჰყოლია. ყველა მათგანმა სთქვა,—თურმე,—რომ ის ქალი, რომელიც ყველაზე უფრო უყვარდა, რომელსაც ყველაზე მეტად აღმერთებდა, ის ქალი... იმ ქალს... ერთის სიტყვით, თვითოეულს მათგანს მოსვლია ის რაც ახლა მე დამემართა.

ახ. ქმ. ქ. ჰოო!

ჭაბუკი. დიახ, ეს ძალიან ნიშნობლივი ამბავია.

ახ. ქმ. ქ. ოღონდაც!..

ჭაბუკი. დაიცა, ჯერ არ გამითავებია: ერთი მათგანი—თურმე ამტკიცებდა: ჩემს დღეში ამისთანა არა დამმართნია რაო, მაგრამ თვით სტენდალი და'ძენს, რომ ეს აფიცერი უშველებელი ბაქია იყოვო.

ახ. ქმ. ქ. ალბად...

ჭაბუკი. საკვირელი კია, რომ ამის'თანა სისულელე კაცს გუნება'ს უფუჭებს...

ახ. ქმ. ქ. რასაკვირელია. საზოგადოდ შენ ხომ... აკი დამპირდი ყველაფერში კარგად მოგექცევიო...

ჭაბუკი. მერე რა'ს დამცინი? ამითი ხომ საქმე არ გამოკეთდება?

ახ. ქმ. ქ. მე სრულებითაც არ დაგცინი. ის, რაც შენ მიამბე სტენდალიდან, მართლაც საყურადღებოა, მაგრამ მე წინად ის მეგონა, რომ ასეთი ამბავი ემართებათ ან ბებრებს და ან მეტად გარეცხილ ყმაწვილებს...

ჭაბუკი. რას ამბობ... საერთო მათ შორის არაფერია... მართლა, ყველაზე საინტერესო ამბავი კი დამავიწყდა. იგივე სტენდალი სწერს: ერთი იმ აფიცერთაგანი სამი ღამე, თუ არ ვიცი ექვსი,—ნამდვილად აღარ მახსოვს—იმ ქალთან იწვა თურმე, რომელაც გაგიჟებით უყვარდა უნდოდა.. desirče —გესმის— მაგრამ რადგანაც... ბედნიერნი მთელი ღამეები მხოლოდ სტიროდნენ... ორთავე სტიროდნენო.

ახ. ქმ. ქ. ორთავენი?

ჭაბუკი. განა გიკვირს? მე-კი მგონია, რომ ორთავემ უნდა იტიროს, თუ-კი ერთმანეთი უყვართ.

ახ. ქმ. ქ. ალბად არიან ისეთნი, რომელნიც არა სტირიან.

ჭაბუკი. (აღელვებით) რასაკვირველია... მხოლოდ ეს გამონაკლია.

ახ. ქმ. ქ. უკაცრავად, მე ასე მეგონა, სტენდა-

ლი იმას ამტკიცებს, რომ ამ გვარ შემთხვევაში მხოლოდ ცხენოსანთა ჯარის აფიცრები სტირიან.

ჭაბუკი. აი, ხედავ, კიდევ დამცინი!...

ახ. ქმ. ქ. რა ბავშობაა, ალფრედ! რათა გგონია, რომ დაგცინი?

ჭაბუკი. მე ვიცი, რომ შენ ამ ჩემ მარცხზე ჰფიქრობ, და ეს კი ძალიან მაბრაზებს.

ახ. ქმ. ქ. მე სრულიადაც არასა ვფიქრობ.

ჭაბუკი. დიახ, როგორ არა! ოხ, ნეტა დარწმუნებული მაინც ვიყო, რომ გიყვარვარ...

ახ. ქმ. ქ. განა მეტი დამტკიცება ღა განდა?

ჭაბუკი. ხედავ... შენ სულ დამცინი.

ახ. ქმ. ქ. რისთვის, ყმაწვილო? მომაყრდნე შენი მშვენიერი სახე.

ჭაბუკი. ვიშ, ნეტარებავ!

ახ. ქმ. ქ. შენ კი გიყვარვარ?

ჭაბუკი. ოხ, რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ!

ახ. ქმ. ქ. მაშ, ნულარ იტირებ.

ჭაბუკი. (ძალზე გაჯავრებული განზე გაიწევს) აი, კიდევ და კიდევ დამცინი. მე ხომ გთხოვე...

ახ. ქმ. ქ. მე გითხარ: ტირილი საჭირო არ არის მეთქი.

ჭაბუკი. არა, შენ მითხარ: მაშ მეტს ნულარ იტირებო.

ახ. ქმ. ქ. შენ ნერვები ძალზე გაქვს დაშლილი, ჩემო კარგო!

ჭაბუკი. მეც კარგად ვიცი.

ახ. ქმ. ქ. ნერვებ დაშლილი კი არ უნდა იყო. მე მოხარულიც კი ვარ, რომ... რომ—ასე ვსთქვათ—ისევ კეთილ მეგობრებად დავრჩით.

ჭაბუკი. კიდევ დაიწყე?

ახ. ქმ. ქ. განა არ გახსოვს ჩვენი პირველი საუბარი? ჩვენ ხომ ერთმანეთის კეთილი მეგობრები უნდა ვყოფილვიყავით და სხვა არაფერი. ოხ, ეს დიდებული რამ წამი იყო ჩვენს ცხოვრებაში... ამ დღეს, იანვარში, ჩემს დასთან ვიყავით მეჯლისზე... ღმერთო ჩემო, კიდეც გადამავიწყდა რომ ახლა კი წასვლის დროა. მე ხომ ჩემი და მიმელოდება; რა უნდა ვუთხრა ახლა...

Adieu, ალფრედ!

ჭაბუკი. ემმა! შენ გინდა... ისე დამტოვო!?

ახ. ქმ. ქ. დიახ—ისე!—

ჭაბუკი. ერთ ხუთ წუთს მაინც დარჩი კიდევ...

ახ. ქმ. ქ. ძალიან კარგი. ამ ხუთ წუთსაც დავრჩები, მაგრამ უნდა სიტყვა მომცე, რომ ადგილიდან არ დაიძვრი, ხომ? გამოთხოვებისას ერთ კიდევ გაკოცებ... ჰა... ციც! არ დაიძრა... მე ხომ გით-

ხარი, რომ იმ წუთას ავდგები და წავალ მეთქი... ჩემო საყვარელო... ჩემო ძვირფასო...

ჭაბუკი. ემმა!.. ჩემო ანგელ....

ახ. ქმ. ქ. ჩემო ალფრედ!

ჭაბუკი. შენ ნეტარების ცა გამიხსენი...

ახ. ქმ. ქ. ხუმრობა იქით იყოს და ახლა კი წასვლის დროა.

ჭაბუკი. ნუ, ნუ წახვალ, გეთაყვანე! დაე, შენმა დამ იცადოს რა...

ახ. ქმ. ქ. სახლში მიგვიანდება. ჩემ დასთან ველარ წავალ, დრო აღარ არის. რომელი საათია!

ჭაბუკი. მე რა ვიცი.

ახ. ქმ. ქ. საათს დახედე.

ჭაბუკი. საათი ჟილეტის ჯიბეშია.

ახ. ქმ. ქ. ადე და ნახე.

ჭაბუკი. (უცბათ წამოსტება) რვა.

ახ. ქმ. ქ. (საჩქაროდ წამოდგება). უფალო, ღმერთო ჩემო... არიქა, ალფრედ ჩქარა მომაწოდე ე ჩულქები... რავქნა, რა ვუთხრა? ალბად შინ უკვე მელიან... რვა საათია...

ჭაბუკი. კიდევ როდისა გნახავ?

ახ. ქმ. ქ. არასოდეს.

ჭაბუკი. ემმა! განა, აღარ გიყვარვარ?

ახ. ქმ. ქ. სწორედ იმიტომაც ვეღარა გნახავ. სად არის ჩემი ფეხსაცმელები.

ჭაბუკი. მაშ არასოდეს? აი შენი ფეხსაცმელები.

ახ. ქმ. ქ. ჩემ აბგაში ღილების შესაკრავი მაქვს, გეოაყვა, მალე მომიტანე.

ჭაბუკი. აჰა!

ახ. ქმ. ქ. ალფრედ! ეს საქციელი შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს.

ჭაბუკი. (ძალზე ნაწყენი) რათა და რისთვის?

ახ. ქმ. ქ. აბა, რა უნდა ვუთხრა, **იმან** რომ მკითხოს: საიდამ მოდიხარო?

ჭაბუკი. უთხარი: ჩემ დასთან ვიყავი-თქო.

ახ. ქმ. ქ. რავქნა, რომ ტყუილის თქმა არ შემიძლია.

ჭაბუკი. მოვალე ხარ.

ახ. ქმ. ქ. იმ გვარ კაცისა? ახ, მოდი, ჩემთან. მოდი ერთხელ კიდევ გაკოცო (ეხვევა) ახლა-კი მარტო დამტოვე. გადი მეორე ოთახში. შენთან ტანთ ჩაცმა არ შემიძლია.

ჭაბუკი. (გადის დარბაზში და იქ იცვამს. მერე დაიწყებს ხილის ჭამას და ერთ ჭიქა კონიაკსაც გადაჰკრავს).

ახ. ქმ. ქ. (რამდენიმე წუთის შემდეგ გამოსძახებს) ალფრედ!

ჭაბუკი. ჩემო ძვირფასო!

ახ. ქმ. ქ. მე მგონია კარგი ვქენით, რომ არ ვიტირეთ.

ჭაბუკი. (ცოტა არ იყოს ამაყად იცინის) რა საკვირველია მაგგვარი ლაპარაკი?

ახ. ქმ. ქ. ალფრედ, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ვინიცობაა ოდესმე ერთმანეთს საზოგადოებაში შევხვდით?

ჭაბუკი. როგორ თუ ოდესმე? განა ხვალ ლობგეიმერისას არ იქმნები?

ახ. ქმ. ქ. კი... შენც მოხვალ?

ჭაბუკი. რასაკვირველია... მე და შენ კოტილიონიც უნდა ვიცეკვოთ.

ახ. ქმ. ქ. ო, მაშ მე აღარ მოვალ, ან კი ეგ აზრი გუნებაში როგორ გაივლე? (მზად ჩაცმული გამოდის დარბაზში, მაგიდიდან შოკოლადის კვერს იღებს და განაკრძობს). მე-კი ასე მგონია: იმ დროს მიწა რომ გამისკდეს, ის მირჩევნია.

ჭაბუკი. მაშ აგრე, ხვალ ლობგეიმერისას შევხვდებით ერთმანეთს. ჩინებულია.

ახ. ქმ. ქ. არ, არა! მე არ მოვალ, გადაჭრით ვამბობ.

ჭაბუკი. მაშ ზეგ... ჩემსას.

ახ. ქმ. ქ. კარგი მოგონებაა.

ჭაბუკი. ექვსზე...

ახ. ქმ. ქ. აქ, კუთხეში, ეტლები სდგას ხოლმე, არა?

ჭაბუკი. დიახ, რამდენიც გნებავთ. მაშ, ზეგ ჩემ.ას ეკ.ესზე... ჩემო საუნჯევ, მითხარ ხლმ მოხვალ, ჰა?

ახ. ქმ. ქ. მაგაზე ხვალ კოტილიონის ცეკვის დროს მოვილაპარაკოთ.

ჭაბუკი. (ეხვევა) ჩემო ანგელოზო!...

ახ. ქმ. ქ. თმა არ ამიფუტკნო.

ჭაბუკი. მაშ, აგრე ხვალ ლობგეიმერისას გნახავ და ზეგ კი... მკერდზე მიგიკრივ.

ახ. ქმ. ქ. გისურვებ ჯანმრთელობას.

ჭაბუკი. (უცბად შეფიქრდიანდება) დღეს რას ეტყვი იმას?

ახ. ქმ. ქ. ნულარა მკითხავ, ნულარ... საზარლობაა! რისთვის, რისთვის მიყვარხარ ასე ძლიერ? Adiéu—კიბეზე კიდევ ვინმე რომ შემხვდეს, სწორედ დამბლა დამეცემა, ახ!

ჭაბუკი. (ერთხელ კიდევ აკოცებს ხელზე).

ახ. ქმ. ქ. (მიდის)

ჭაბუკი. (მარტო რჩება. დივანზე ჩამოჯდება, იღიმება და თავისთვის ბუტბუტებს). ასე და ამ გვარად, ჩვენ კავშირი გვაქვს რიგიან ქმრიან დედაკაცთან.

ახალგაზდა ქმრიანი ქალი და ქმარი

სუფთად მოწყობილი მეუღლო სასიძლო ოთახი. დამის თერთმეტის ნახევარია. ლოგინში წევს ცოლი და წიგნსა კითხულობს. შემოდის ქმარი, ხალათი აცვია.

~~შემოდის ქმარი, ~~ხალათი~~ აცვია.~~

ახ. ქმ. ქ. (თავაუდებლივ) აღარ მეცადინობ?

ქმარი. არა. ძლიერ დავიღალე. ამის გარდა...

ახ. ქმ. ქ. რა?

ქმარი. ჩემ საწერ მაგიდასთან რომ ვიჯექ, უცბად რალაც მარტოობა ვიგრძენ. შენი ნახვა მომინდა.

ახ. ქმ. ქ. (ქმარს შეხედავს) მართლა?

ქმარი. (ცოლის ლოგინზე ჩამოჯდება). დღეს მეტს ნუღარ იკითხავ. თვალებს ნუ ჩაიწყალებ.

ახ. ქმ. ქ. (წიგნს დაკეცავს) ნუ თუ... დღეს რა მოგსვლია?

ქმარი. არაუერი ჩემო გვრიტო. მიყვარხარ და რავქნა! ეს ხომ შენც კარგად იცი!

ახ. ქმ. ქ. ხანდისხან თითქმის მავიწყდება ხოლმე, რომ გიყვარვარ.

ქმარი. დიახ, დრო და დრო სიყვარულის დავიწყება საჭიროც არის.

ახ.. ქმ. ქ. რისთვის?

ქმარი. იმიტომ რომ, უამისოდ, ქორწინებას დიდი ნაკლულოვანება ეკმნებოდა, ესე იგი—არ ვიცი როგორ გამოვხატო ჩემი აზრი—ქორწინება თავის სიწმინდეს დაჰკარგავდა.

ახ. ქმ. ქ. ჰო?...

ქმარი. მენდე, რომ ეს ასეა. ამ ხუთის წლის განმავლობაში, დღიდან ჩვენის შეუღლებისა, დრო და დრო რომ არ დაგვევიწყნა ხოლმე ჩვენი სიყვარული, აქამდის ერთმანეთს შევიძულებდით, გადავიყვარებდით.

ახ. ქმ. ქ. ეგ შენი აზრი რაღაც ბუნდოვანად მეჩვენება.

ქმარი. აქ ბუნდოვანი არაფერია, სულ ადვილი გასაგებია. ჩვენ ეს მეათეთა, თუ მეთორმეტეთ ვანახლებთ ჩვენის სიყვარულის კავშირს. ასე არ არის?

ახ. ქმ. ქ. მე არ დამითვლია.

ქმარი. ჩვენ რომ სიტკბოების ფიალა პირველ დღეებშივე გამოგვეწურა, ან იმ თავითვე მე რომ უანგარიშოთა და უაზროთ ავყოლოდი ვნებათა-ღელვას, ჩვენც იგივე დაგვემართებოდა, რაც ემართებათ მილიონ სხვა შეყვარებულთ: ჩვენ შორის ყველაფერი უკვე გათავებული იქმნებოდა.

ახ. ქმ. ქ. აა... შენ აგრე ჰფიქრობ?

ქმარი. მერწმუნე, ემმა, ჩვენის შეუღლების პირველ ხანში მეშინოდა, რომ ასე დაგვემართებოდა.

ახ. ქმ. ქ. მეც მეშინოდა.

ქმარი. აი, ხედავ? განა მე მართალს არ ვამბობ? ამიტომ ყოველთვის სასარგებლოა, რომ დრო გამოშვებით ერთმანეთში მხოლოდ კეთილი მეგობრობა გვქონდეს ხოლმე.

ახ. ქმ. ქ. დიახ...

ქმარი. და, აი, ჩვენ კვალად და კვალად განვიცდით ხოლმე შეუღლებულთა პირველი თვის სიტკბოებას, რათა? იმიტომ, რომ ვცდილობთ პირველი თვის სიტკბოება...

ახ. ქმ. ქ. დიდხანს არ გაგძელდეს.

ქმარი. ჰეშმარიტად.

ახ. ქმ. ქ. ახლა კი... როგორცა სჩანს ხანას **კეთილი მეგობრობისას** ბოლო ეღება, არა?

ქმარი. (ნაზად მიიხუტებს ცოლს). ადვილი შესაძლებელია.

ახ. ქმ. ქ. მე რომ... სხვანაირად ვფიქრობდე?

ქმარი. არა შენ სხვა გვარად არა ჰფიქრობ. შენ ყველაზე ჭკვიანი და აღმაჯრთოვანებელი არსება ხარ. ოხ, რა ბედნიერი ვარ, რომ შენ შეგეყარე.

ახ. ქმ. ქ. ძალიან სასიამოვნოა, რომ შენ დრო და დრო აგრე მესიყვარულები ხოლმე.

ქმარი. (ლოგინში ჩაწვება) ცხოვრების მცოდნე კაცისათვის—აბა, თავი მხარზე დამაყრდნე—ქორწინებას უფრო მეტი საიდუმლოებრივი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თქვენ, კარგის ოჯახიდან გამოსულ გასათხოვარ ქალებსა გგონიათ. თქვენ როცა ჩვენ გვიუღლდებით, უმანკონი, უბიწონი და ერთის მხრივ უვიცნიცა ხართ; ამიტომ, საზოგადოთ, თქვენ უფრო ნათელი წარმო. დგენა გაქვთ სიყვარულის თვისებაზე, ვიდრე ჩვენ.

ახ. ქმ. ქ. (სიცილით) ოო!..

ქმარი. ეს ეკვს გარეშეა. იმ აუცილებელ განსაცდელთა და დრომოჭმულობათა მეოხებით, რომელთაც გამოივლის ხოლმე ცხოვრებაში ყოველი უცოლ-შვილო კაცი, ჩვენი აზრ-შეხედულებანი უფრო არეული და უნიადაგოა. მართალია თქვენც ბევრი რამ გესმით, ბევრი რამ იცით და, საზოგადოდ, ზედმეტ წიგნებსაც კი კითხულობთ, მაგრამ მაინც ზედ-მიწევნით ვერ წარმოიდგენთ იმ ცხოვრებას, რომელსაც ჩვენ, მამაკაცები, ვატარებთ. ის, რასაც ჩვეუ-

ლემრივად სიყვარულს ეძახიან, ჩვენ, მამაკაცებს, დაბოლოს სასაცილოთაც არა გვყოფნის ხოლმე. რათა? იმიტომ, რომ ყოვლად დამცირებულნი არიან ის არსებანი, რომლებთანაც ჩვენ დროებით კავშირს ვიჭერთ ხოლმე...

ახ. ქმ. ქ. მართლა, მითხარ გეთაყვა, რა სულიერები არიან?

ქმარი. (შუბლზე ჭკოცნის) იმითიც კმაყოფილი იყავ, ჩემო გვრიტო, რომ შენ შემთხვევა არა გქონია მათის წრის გაცნობისა. ისინი, უმთავრესად, მარტოოდენ ღირსნი არიან სიბრალულისა. მაგრამ, დაე, ნუ განვსჯით.

ახ. ქმ. ქ. სიბრალული მათდამი, მე მგონია, მეტია, უადგილოა.

ქმარი. (ნაზის მოწყალებით) არა, ისინი ღირსნი არიან სიბრალულისა. თქვენ, კარგის ოჯახის ქალები, ის ქალები, რომელნიც შეჰფარებიხართ თქვენის მოსიყვარულე დედ-მამის ჭერს და მოთმინებით უცდით პატიოსან მეუღლეს, თქვენმეთქი ვერც-კი წარმოიდგენთ იმ დუხჭირ და შემაძრწუნებელ სიღარიბეს, რომელიც მათ ბიწიერებისა და გახრწნილების გზაზე აყენებს.

ახ. ქმ. ქ. ნუ თუ ყველა იმათგანი თავსა ჰყიდის?

ქმარი. მე ეგ არ მითქვამს. ამ შემთხვევაში მარტო ქონებრივს, მატერიალურ სიღარიბეს არა ვგულისხმობ. არის ერთგვარი სიგლახაკეც—ასე ვსთქვათ,—ზნეობრივი სიკოტრე, ანუ შეუგნებლობა იმისი, რაც ნება დართულია, უმთავრესად-კი, შეუგნებლობა იმისი, რაც კაცს აღამაღლებს და გააადამიანებს.

ახ. ქმ. ქ. მაინც და მაინც, რად არიან შესაბრალისნი? ალბათ გვარიანადაც სცხოვრობენ?

ქმარი. ახირებული აზრის ქალი ხარ, ჩემო სულიკო. შენ არასოდეს არ უნდა გავიწყდებოდეს ის გსრამოება, რომ იმისთანები არსებითად, თან და თან, სულ დაბლა და დაბლა ეცემიან. მოლიპულ გზაზე შემდგარნი, თავს ველარ იკავებენ.

ახ. ქმ. ქ. (მეეხუტება) მაგრამ... როგორც ეტყობა, ამ გვარ დაცემულობას თან სიამოვნებაც მოსდევს.

ქმარი. (ცოლის სიტყვებით გულ-ნატკენი). განა აგრეთი ლაპარაკი შეიძლება, ემმა? ჩემის აზრით, წესიერ დედაკაცებისათვის მათი მოპირდაპირესთანა საზიზღარი არავინ უნდა იყოს.

ახ. ქმ. ქ. რასაკვირველია, კარლოს, რასაკვირველია. მე მხოლოდ ისე ვსთქვი. აბა განაგრძე. მე შენი ლაპარაკი ძლიერ მიყვარს. მიამბე რამე.

ქმარი. რა, მაგალითად?

ახ. ქმ. ქ. აი, თუნდა ისევ ამ არსებათა შესახებ.

ქმარი. რა ახირებაა?

ახ. ქმ. ქ. მე ხომ წინადაც, ჩვენის შეხვედრის პირველ ხანებში, სულ იმას გეხვეწებოდი გეამბნა რამე შენის წარსულიდან. გახსოვს?

ქმარი. აგრე რათ გეინტერესება ჩემი წარსული?

ახ. ქმ. ქ. განა შენ ჩემი ქმარი არა ხარ? განა კარგია, რომ შენის წარსულიდან არაფერი არ ვიცოდე?

ქმარი, ნუ თუ ამდენად დაცემული გგონივარ, რომ სავსებით... არა, კმარა, ემმა!...

ახ. ქმ. ქ. მაინც შენ... ვინ იცის რამდენ. დედაკაცს ჩაჰკონებიხარ ისე, როგორც, აი, ახლა მე მეკონები.

ქმარი. ნუ იძახი „დედაკაცებს“. დედაკაცი მხოლოდ შენა ხარ.

ახ. ქმ. ქ. ერთ კითხვაზე კი მაინც უნდა მიპასუხო... თორემ... თორემ მშვიდობით, პირველი თვის სიამოვნებავ...

ქმარი. რა უცნაური სიტყვა-პასუხი გაქვს... გაიხსენე, ქალო, რომ შენ უკვე დედა ხარ... რომ ჩვენ გვერდით სძინავს ჩვენ გოგონას.

ახ. ქმ. ქ. (მკაცრად ეკვრის) იქნება მინდა, რომ ბიჭიცა გყავდეს...

ქმარი. ემმა!

ახ. ქმ. ქ. ნუ, ნუ ხარ ეგრეთი... მართალია, მე შენი ცოლი ვარ... მაგრამ მსურს რომ ცოტათი მაინც... შენი **საყვარელი**— მიჯნურიც ვიყო.

ქმარი. რა გინდა?...

ახ. ქმ. ქ. არა, ჯერ ჩემ კითხვაზე მიპასუხე!

ქმარი. (მორჩილად) რა კითხვაზე?

ახ. ქმ. ქ. მათ შორის... ქმრიანი ქალიც ერია?

ქმარი. რაო? ვითომ რა გინდა მაგითი სთქვა?

ახ. ქმ. ქ. შენ კარგად გესმის...

ქმარი. (ცოტა შეშფოთებული). საიდან მოიაზრე აგრეთი კითხვა?

ახ. ქმ. ქ. მე მინდა ვიცოდე, რომ... ესე იგი, რომ ისეთი ქალებიც არიან—ეს მე კარგად ვიცი, მაგრამ ნუ თუ შენ...

ქმარი. (მკაცრად) შენ იცნობ იმ გვარ ქალს?

ახ. ქმ. ქ. მე თითონაც არ ვიცი.

ქმარი. იქნებ შენ მეგობარ ქალებში ვინმე იმისთანა ურევია?

ახ. ქმ. ქ. აბა, როგორ შემიძლია გადაკრით ან **ჰო** ვსთქვა და ან **არა?**

ქმარი. შეიძლება რომელიმე შენმა მეგობარმა ქალთაგანმა შენ... განა ცოტა რამეს ყბედობენ ერთმანეთში, ნამეტნავად დედაკაცები... იქნება რომელიმე მათგანი გამოგიტყდა?

ახ. ქმ. ქ. (ორჭოფად) არა.

ქმარი. და ეკვიც არავისზე გაქვს, რომ ის...

ახ. ქმ. ქ. ეკვი... ოხ... ეკვი.

ქმარი. არცა გგონია?

ახ. ქმ. ქ. რასაკვირველია, არა. ალბად არავინ უნდა იყოს ამისთანა. სათითაოთაც რომ ჩამოვთვალო, არა მგონია რომელიმე მათგანი გაბედავდეს...

ქმარი. მაშ ისეთი არავინ გეგულება?

ახ. ქმ. ქ. ჩემ ნაცნობებში?—არავინ.

ქმარი. სიტყვა მომე, ემმა!

ახ. ქმ. ქ. რა სიტყვა?

ქმარი. რომ თავის დღეში არ გაეცნობი ისეთ ქალს, რომელიც ცოტათი მაინც საეჭვო ყოფაქცევისა იქმნება... რომელიც უწესოდ იქცევა.

ახ. ქმ. ქ. მაგას რაღა ლაპარაკი უნდა?

ქმარი. მე ვიცი, რომ შენ ამგვარ დედაკაცების ძებნას და გაცნობას არ დაიწყებ, მაგრამ შეიძლება მოხდეს, რომ შენ...

თითქმის ყოველთვის და ყოველ ნაბიჯზე შევხვდები, რომ საეკვო ყოფაქცევის დედაკაცები რიგიან და ზნეობით სავსე ქალების გაცნობასა და დაახლოვებას ესწრაფვიან ხოლმე. ამითი ერთნი თავის სახელის აღდგენას სცდილობენ, მეორენი-კი... არ ვიცი როგორა ვსთქვა—დაკარგულ სათნოებისათვის სწუხან და უნდათ გული გაიქარვონ.

ახ. ქმ. ქ. მაშ აგრე...

ქმარი. დიახ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ზოგნი დაკარგულ სათნოებისათვისა სწუხან, ხოლო საერთოთ ყველანი რომ უბედურები არიან, ამას დამტკიცება არ უნდა და შენც ადვილათ დამეთანხმები.

ახ. ქმ. ქ. რათა?

ქმარი. განა კიდევ საკითხავია, ემმა? აბა მარტო ის წარმოიდგინე რა ჯოჯოხეთურ ცხოვრებას ატარებენ! მათი გული სავსეა სიცრუით, ვერაგობით და სიყალბით. ყოველ დღე ათასგვარ განსაცდელს მოელიან.

ახ. ქმ. ქ. დიახ, რასაკვირველია. ამაში კი მართალი ხარ.

ქმარი. ჰეშმარიტად, რომ იმათ ძვირათ

ულირთ ერთი წუთი ბედნიერებისა... ერთი წუთი...

ახ. ქმ. ქ. სიამოვნებისა?

ქმარი. რათა სიამოვნებისა? განა შენ იმას სიამოვნებას დაუძახებ?

ახ. ქმ. ქ. ერთის მხრით რატომ არა!.. სიამოვნებას რომ არა პოულობდნენ, ხომ არც იმ საქმეს ჩაიდენდნენ.

ქმარი. სიამოვნება კი არა, გაბრუება, ტვინის დაკარგვაა.

ახ. ქმ. ქ. (ეჭვით) გაბრუება... ტვინის დაკარგვა.

ქმარი. არა, გაბრუებაც კი არ არის... მაგრამ ძვირფასად რომ უჯდებათ, ეს კი ეჰვს გარეშეა.

ახ. ქმ. ქ. მაშასადამე... შენც გამოგიცვდია... ხომ მართალია?

ქმარი. კი ემმა. ეს ჩემთვის ყველაზე მწარე მოგონებათაგანია.

ახ. ქმ. ქ. ვინ არის? მითხარი, მე ვიცნობ?

ქმარი. აბა, რა საკითხავია?

ახ. ქმ. ქ. როდის შეგემთხვა. ეგ ამბავი? დიდი ხანი გავიდა ჩვენ ჯვრის წერამდე?

ქმარი. ნუ მკითხავ. გეხვეწები—ნუ მკითხავ.

ახ. ქმ. ქ. ჰა, კარლოს!

ქმარი. ის ქალი უკვე მკვდარია.

ახ. ქმ. ქ. ნამდვილად?

ქმარი. დიახ... თუმცა ერთით სასაცილოა ჩემი

ასეთი აზრი, მაგრამ მე მგონია, რომ ამგვარი ქალები სიყმაწვილეშივე იხოცებიან.

ახ. ქმ. ქ. ძალიან გიყვარდა?

ქმარი. მატყუარა და მოღალატე არავის უყვარს.

ახ. ქმ. ქ. მაშ რიღასთვის...

ქმარი. გაბრუება იყო.

ახ. ქმ. ქ. მაინც?

ქმარი. გთხოვთ იმაზე ლაპარაკს თავი დავანებოთ. დიდი ხანია გასული მას შემდეგ. სიყვარულით კი მარტო ერთი მიყვარდა—შენ: ჭეშმარიტი სიყვარული მხოლოდ იქ არის, სადაც სიწმინდე და სიმართლეა.

ახ. ქმ. ქ. კარლოს!..

ქმარი. რა მშვიდათა და რა კარგათ გრძნობ შენ თავს ამ გვარ ხვევნაში. რატომ შენ ბავშობისასვე არ გიცნობდი? დარწმუნებული ვარ, რომ სხვა ქალს არც-კი შევხედავდი.

ახ. ქმ. ქ. კარლოს!

ქმარი. და თანაც რა ლამაზი ხარ... რა მშვენიერი ხარ...

(სანთელს აქრობს)

ახ. ქმ. ქ. იცი, რა გამახსენე?

ქმარი. რა, ჩემო ძვირფასო?

ახ. ქმ. ქ. ვე... ვე... ვენეცია.

ქმარი. პირველი ღამეც...

ახ. ქმ. ქ. კი...

ქმარი. მერე? სთქვი.

ახ. ქმ. ქ. დღეს შენ ისე გიყვარვარ, როგორც... მაშინ.

ქმარი. დიახ, როგორც მაშინ...

ახ. ქმ. ქ. (ეხვეჭა) ოხ, ნეტა ყოველთვის ასე...

ქმარი. როგორ?

ახ. ქმ. ქ. ჩემო კარლოს!

ქმარი. რა უნდა გეთქვა? რომ მე ყოველთვის ასე...

ახ. ქმ. ქ. ჰო, დიახ.

ქმარი. მერე რა იქნებოდა, რომ ყოველთვის ასე...

ახ. ქმ. ქ. მაშინ მეცოდინებოდა, რომ მუდამ გიყვარვარ.

ქმარი. ეგ უიმისოდაც უნდა იცოდე. არ შეიძლება, რომ მამაკაცი მარად ჟამს მარტო მოსიყვარულე ქმარი იყოს, რადგანაც იძულებულია არსებობისათვის ცხოვრების ზღვის ზვირთებსაც ებრძოლოს. თავის დღეში არ დაივიწყო, ჩემო სულიკო, ეს ჩემი ნათქვამი. მეუღლეთა შორის ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს და ეს კი ყვე-

ლაზედ კარგი და ხელ-საყრელია. ბევრს ვერ ნახავ იმისთანას, რომელ-მაც ხუთი წლის შემდეგ თავისი ვენეცია მოიგონოს.

ახ. ქმ. ქ. რასაკვირველია!

ქმარი. ახლა-კი... ღამე მშვიდობისა, ჩემო გვრიტიკო.

ახ. ქმ. ქ. ღამე მშვიდობისა!

ქმარი და სატფრფიალო არსება

კერძო კაბინეტი რიდგოფში. მარჯვენ და მოხერხებული მოწყობილება, სადა, მაგრამ მდიდრულ მორთულობით. გაზის ღუმელი ანთია.

ქმარი. სატრფიალო არსება.
მაგიდაზე ალაგია ვასშმიდან დარჩენილი: ბეზე კრემით, მწვანილი, ყველი. ჭიქებში თეთრი ჰუნგრეთული ღვინო.

ქმარი. (დივნის კუთხეს მიყრდნობია და ჭაბანის სიგარეს სწევს).

სატრფ. არს. (ზის ქმრის გვერდზე სავარძელში, კოვზით ბეზელან კრემს არჩევს და დიდის სიამოვნებით სჭამს).

ქმარი. ჰა, გემრიელია?

სატრფ. არს. (ჭამაზე ხელს არ იღებს) ო, ძალიან?

ქმარი. კიდევ გინდა?

სატრფ. არს. არა, უიმისოდაც ძალიან ბევრი ვჭამე.

ქმარი. ჭიქაში ღვინო აღარა გაქვს. (უსხამს)

სატრფ. არს. ნუ დაასხამთ... სულ ერთია ისევ ჭიქაში დარჩება.

ქმარი. კიდევ **თქვენობით** მელაპარაკები?

სატრფ. არს. ნუ თუ იცით რა ძნელი მისაჩვევია **შენობით** ლაპარაკი?

ქმარი. იცი, რა გითხრა?

სატრფ. არს. რა?

ქმარი. **შენ** უნდა მითხრა: **იცი** და არა **ეცით**. მოდი ჩემ ახლოს დაჯექ.

სატრფ. არს. ახლავე... ჯერ არ გამითავებია.

ქმარი. (ადგება, ქალს უკანიდან ხელს მოხვევს და თავს თავისკენ მიუბრუნებს).

სატრფ. არს. აბა, სხვა რაღა გინდა?

ქმარი. ერთი კოცნა...

სატრფ. არს. თქვენ... ახ, უკაცრავად, შენ დიდი კადნიერი ხარ.

ქმარი. მხოლოდ ახლა შეიტყე?

სატრფ. არს. არა... წინადვე გავიგე...—ქუჩაზე. ალბად თქვენ...

ქმარი. ალბად შენ...

სატრფ. არს. ღმერთმა იცის რა იფიქრე ჩემ შესახებ.

ქმარი. რისთვის უნდა მეფიქრა ცუდი რამ?

სატრფ. არს. იმიტომ, რომ მთხოვე თუ არა, იმ წამსვე ცალკე კაბინეტში გამოგყე.

ქმარი. **იმ წამშიო** მაინც და მაინც არ გეთქმის.

სატრფ. არს. რავქნა, თქვენ ისეთ ნაირი თხოვნა გცოდნიათ, რომ...

ქმარი. ნუ თუ?

სატრფ. არს. ეგეც რომ არ იყოს... მაინც და მაინც ისეთი რა ჩავიდინე?

ქმარი. რასაკვირველია.

სატრფ. არს. განა სულ ერთი არ არის: სეირნობ თუ...

ქმარი. ამასთანავე გარედ ძალიან ცივდა.

სატრფ. არს. რასაკვირველია, ძალიან ცივდა.

ქმარი. სამაგიეროდ აქა თბილა... მარჯვეა. მართალია თუ არა? (კვერდზე მოუჯდება, მოეხვევა, მიიზიდავს).

სატრფ. არს. (ხმა დაბლა) დიახ...

ქმარი. მითხარ, გეთაყვა... წინადაც შეგიმჩნევივარ, არა?

სატრფ. არს. როგორ არა. ზინგერშტრასსეზე გნახეთ გუშინ, გუშინ წინ, იმ დღეს, როცა უკან აგედევნე.

სატრფ. არს. აბა რა გითხრა. მე უკან ძალიან ბევრი დამდევს.

ქმარი. ეგ ადვილი გასაგებია. მაგრამ მე შემამჩნიე, თუ არა?

სატრფ. არს. იცით, ახ უკაცრავად, იცი რა შემემთხვა ამ დღეებში: ჩემი სიძე ამე ტორლიალა. ბნელაში ვერ გამარჩია.

ქმარი. გამოგელაპარაკათ?

სატრფ. არს. საიდან მოაქორე. შენა გგონია, რომ ყველა შენისთანა თავხედია?

ქმარი. კი მაგრამ, ხომ მოხდება ხოლმე, რომ გამოგელაპარაკონ.

სატრფ. არს. რასაკვირელია, მოხდება ხოლმე.

ქმარი. მერე როგორ იქცევი ხოლმე ამ გვარ შემთხვევებში.

სატრფ. არს. როგორ უნდა მოვიქცე. პასუხს არ ვაძლევ.

ქმარი. ჰმ... მე კი გამომელაპარაკე და!

სატრფ. არს. იქნება ამით გაწყენინეთ?

ქმარი. (გაცხარებით ჰკოცნის).
კრემს შენი ტუჩები გაუტკბილებია.

სატრფ. არს. უკაცრავად, ჩემი ტუჩები ეიმისოდაც ტკბილია.

ქმარი. ეგ შენთვის ბევრს უთქვამს.

სატრფ. არს. ბევრს! ახლა ეგ მოაპორე!

ქმარი. აბა, მართალი ბითხარ: რამდენ კაცს გაუკოცნავს ეს შენი კოპწია ბაგენი?

სატრფ. არს. აბა რასა მკითხავ?.. ხომ არ დამიჯერებ, თუნდა მართალიც გითხრა?

ქმარი. რატომ არ დაგიჯერებ?

სატრფ. არს. შენ თითონ გამოიცან.

ქმარი, კარგი. ვსთქვათ... ხომ არ გაჯავრდები?

სატრფ. არს. რაზე უნდა გავჯავრდე?

ქმარი. ჩემის აზრით... ოცი კაცი მაინც გაგკოცნიდა.

სატრფ. არს. (ხელიდან გაუსხლტება) რატომ ასი არა სთქვით?

ქმარი. მე მხოლოდ მინდოდა გამომეცნო.

სატრფ. არს. აკი გამოიცანი კიდეც, ვერ მოგართვი!

ქმარი. მაშ ათი.

სატრფ. არს. (წყენით) რასაკვირელია. იმ ქალს, რომელიც ქუჩაში გამოელაპარაკება. კაცს და მერე ერთის თქმით ცალკე კაბინეტში მისდევს...

ქმარი. კარგია, ნუ ბავშობ. ან ქუჩაში უნდა იყიალო, ან სახლში უნდა იჯდე..- ჩვენ ხომ ახლა რესტორანში ვართ. ლაქიას ყოველ წუთს ნება აქვს შე. მოვიდეს. მაინც და მაინც, ისეთი, რა ჩაიდინე...

სატრფ. არს. მეც ეგრე ვფიქრობდი.

ქმარი კვლავაც ყოფილხარ როდისმე ცალკე კაბინეტში?

სატრფ, არს. მართალი გითხრ-: ვყოფილვარ.

ქმარი. აი, ეგ მომწონს, რომ გულ ახდილი მაინც ხარ.

სატრფ. არს. მაგრამ იმ აზრით ნუ კი გეგონება, როგორც შენა ფიქრობ. ცალკე კაბინეტში მოვხვდი ჩემ მეგობარ ქალსა და მის ქმართან ერთად, ყველიერში.

ქმარი, არც ისაა დასაძრახისი, რომ შენ საყვარელთან ერთად მოსულიყავ.

სატრფ. არს. რასაკვირელია, დასაძრახისი არ არის, მაგრამ მე საყვარელი არა მყავს.

ქმარი. ვითომ?

სატრფ. არს. გაძლევ პატიოსან სიტყვას, არა მყავს.

ქმარი. ახლა იმის მტკიცებასაც დამიწყებ, რომ მე...

სატრფ. არს. რაო? ეს ნახევარ წელიწადია, რაც არავინა მყოლია.

ქმარი. ჰო, ეგრეა საქმე. მაგრამ წინად? ვინ იყო?

სატრფ. არს. დიდი ცნობის მოყვარე-კი ყოფილხარ.

ქმარი. მე იმიტომ დავინტერესდი, რომ შენ მიყვარხარ.

სატრფ. არს. მართლა?

ქმარი. რასაკვირველია. განა ვერა ხედავ? (მაგრა ჩაიკრავს გულში). აბა მიამბე.

სატრფ. არს. მაინც რა უნდა გიამბოთ...

ქმარი. ბევრ ნუ მახვეწნინებ. მე მინდა ვიცოდე: ვინ იყო ის?

სატრფ. არს. (იცინის) რასაკვირველია მამაკაცი.

ქმარი. მერე, მერე?

სატრფ. არს. ის ცოტათი შენ მიგაგვანდა.

ქმარი. კეთილი.

სატრფ. არს. შენ რომ იმას არა ჰგვანებოდი...

ქმარი. მერე რა იქმნებოდა?

სატრფ. არს. ნულარა მკითხავ, როცა შენი თვალითვე ხედავ, რომ...

ქმარი. მაშასადამე, იმიტომ გამომელაპარაკე...

სატრფ. არს. რასაკვირველია.

ქმარი. ახლა აღარ ვიცი, გავიხარო თუ გავ-
ჯავრდე.

სატრფ. არს. შენი რომ ვიყო, გავიხარებდი.

ქმარი. აბა, რასაკვირველია!

სატრფ. არს. ლაპარაკითაც იმას მაგონებ... თვა-
ლის იერითაც.

ქმარი. მაინც, ვინ იყო?

სატრფ. არს. ოხ, ეს თვალები... თვალები...

ქმარი. სახელად რა ერქვა.

სატრფ. არს. ნუ, ნუ მიყურებ მაგ თვალებით'
გთხოვ, გეევედრები.

ქმარი. (მოეხვევა. ხანგრძლივი, მწკვეე კოცნა).

სატრფ. არს. (შეკრთება. ადგომას ეპირება).

ქმარი. რათა მშორდები?

სატრფ. არს. დრო არის შინ წასვლისა.

ქმარი. კიდევ მოასწრობ.

სატრფ. არს. არა, ხუმრობა იქით იყოს, შინ წა-
სვლის დრო კია. რა გგონია, დედა-
ჩემი პირს დამიკოცნის?

ქმარი. განა დედასთანა სცხოვრობ?

სატრფ. არს. მაშ რა გეგონა?

ქმარი. კეთილი... დედასთან... მარტო შენა
სცხოვრობ დედასთან?

სატრფ. არს. რასაკვირველია მარტო მე. ჩვენ ხუთ-
ნი ვართ. ორი ვაჟი და კიდევ ორი
ქალი.

ქმარი. რა შორს დაჯექი? შენ ყველაზე უფროსი ხარ?

სატრფ. არს. არა, მე მეორე ვარ. უფროსი კატიაა. იგი ყვავილების მაღაზიაში მსახურებს. იმის მომდევნო მე ვარ.

ქმარი. შენ სადღა მსახურებ?

სატრფ. არს. არსად. შინა ვარ.

ქმარი. მუდამ?

სატრფ. არს. მაშ სახლს ყურის გდება არ უნდა?

ქმარი. რასაკვირველია, უნდა. მაგრამ როცა შინ ბ'რუნდები ხოლმე, დედას რას ეუბნევი?

სატრფ. არს. მე იშვიათათ ვიგვიანებ ხოლმე.

ქმარი. აი, თუნდა, მაგალითად დღეს, დედა ხომ გკითხავს სად იყავიო?

სატრფ. არს. რასაკვირველია მკითხავს. რაც უნდა ფთხილად შევიპარო სახლში, მაინც გამოელვიძება.

ქმარი. მერე რას ეტყვი სად ვიყავიო?

სატრფ.არს. ვეტყვი, თეატრში ვიყავი მეთქი.

ქმარი. მერე დაგიჯერებს?

სატრფ. არს. რატომ არ დამიჯერებს. მე თეატრში ხშირად დავდივარ. წარსულ კვირასაც მე, ჩემი მეგობარი თავისის დანიშნულითა და ჩემი ძმა ოპერაზე ვიყავით.

ქმარი. მერე, ბილეთებს საიდან შოულობთ?

სატრფ. არს. ძალიან ადვილად. ჩემი ძმა პარიკმახერია.

ქმარი. ჰო, პარიკმახერია. ალბათ თეატრისა თუ?

სატრფ. არს. აგრე დაწვრილებით რათა მკითხავთ.

ქმარი. მეინტერესება. მეორე ძმა რაღას აკეთებს?

სატრფ. არს. ჯერ ისევ სკოლაში დადის. მინდა მასწავლებელი გამოვიდეო. როგორ მოგწონთ?

ქმარი. კიდევ მეორე დაცა გყავს, არა?

სატრფ. არს. დიახ... და თუმცა ჯერ ისევ პატარა გოგონაა, მაგრამ ახლავე თვალი არ მოეშორება. ვერ წარმოიდგენთ, სკოლაში როგორ ირყვნებიან ბავშვები, იმ დღეს პაემანი დაენიშნა

ქმარი. რაო?

სატრფ. არს. დიახ, ჩვენ პირდაპირ რომ სკოლაა, იმ სკოლის ერთი მოწაფისათვის პაემანი დაენიშნა. საღამოს რვის ნახევარზე იმასთან ერთად ბაღში დასეირნობდა. შენ სთქვი გოგონა!

ქმარი. მერე რა უყავი?

სატრფ. არს. ლაზათიანათ გაელახე.

ქმარი. განა აგრეთი სასტიკი ხარ?

სატრფ. არს. მაშ ვინა ჰყავს, სხვა პატრონი? ჩემი და მაღაზიაშია, დედაჩემი მხოლოდ

ბეზღუნობს. მთელი ოჯახი მარტო მე მაწევს კისერზე.

ქმარი. ღმერთო ჩემო, რა კარგი რამა ხარ! (ჭოტნის და ენებივრება). შენ ერთ ვილაცას მაგონებ.

სატრფ. არს. მართლა? ვისა?

ქმარი. გადაჭრით ვერ გეტყვი... იმ დროს... სიყმაწვილეში... დალიე, გვრიტიკო.

სატრფ. არს. განა რამდენი წლისა ხარ? შენ... ჰო... არც კი ვიცი სახელად რა გქვიან!

ქმარი. კარლოსი.

სატრფ. არს. არა მგონია... ნუ თუ მართლა კარლოსი გქვიან?

ქმარი. იმასაც კარლოსი ერქვა?

სატრფ. არს. ეს შეუძლებელია... ეს სწორედ საკვირველებაა... ის თვალები... ის გამოხედვა. (თავს ანებებს).

ქმარი. მაინც ხომ არ მითხარი, ვინ იყო.

სატრფ. არს. უეჭველია ცუდი კაცი იყო, თორემ განა თავს დამანებებდა?

ქმარი. ძალიან გიყვარდა?

სატრფ. არს. რასაკვირველია, მიყვარდა.

ქმარი. ახლა კი ვიცი ვინც ყოფილა ლეიტენანტი?

სატრფ. არს. არა. ის სამხედრო სამსახურში არა ყოფილა. იმის მამას თავისი საკუ-

თარი სახლი აქვს იმ... მაგრამ ან-კი
რად გინდა, რომ იცოდე?

ქმარი. შენ თურმე ლურჯი თვალები გქო-
ნია და მე-კი პირველად შავებათ
მომეჩვენა.

სატრფ. არს. რა, იქნება არ მოგწონს?

ქმარი. (თვალებში ჰკოცნის).

სატრფ. არს. არა, არა. ეგენი არ იყოს... გთხოვ,
გეევედრები. ოხ ღმერთო... ნება
მომეცი ავდგე... მხოლოდ ერთის
წუთით... გეთაყვა.

ქმარი. (ნებიერად) როგორ შეიძლებ,!

სატრფ. არს. გეხვეწები, კარლოს!

ქმარი. რამდენი წლისა ხარ? თვრამეტისა,
არა?

სატრფ. არს. ცხრამეტის შევსრულდი.

ქმარი. ცხრამეტისა... მე-კი...

სატრფ. არს. ოცდა ათისა...

ქმარი. ცოტა მეტისაც. თავი დავანებოთ
ამაზე ლაპარაკს.

სატრფ. არს. როცა მე ის გავიცანი ოცდა თორ-
მეტისა იყო.

ქმარი. დიდი ხანი მას შემდეგ?

სატრფ. არს. არ მახსოვს... ახ, ღვინოში ალბად
რალაცა იყო.

ქმარი. რათა გგონია?

სატრფ. არს. თავს ბრუ მესხმის.

ქმარი. მაშ ხელი მაგრა მომკიდე. აგრე... (მაგრათ მიიკრავს გულზე და თან და თან უტკბება. ქალი ძლივს ეწინააღმდეგება). ახლა კი ჩემო ძვირფასო, სახლში წასვლის დროა.

საატრფ. არს. კი... სახლში.

ქმარი. პირდაპირ სახლში კი არა...

საატრფ. არს. რა გინდა სთქვა მაგითი? არა, არა! მე ვერსად ვერ წამოგყვებით... რა მოიგონე...

ქმარი. ყური დამიგდე, გვრიტიკო! მეორეთ რომ შევხვდებით ერთმანეთს, ჩვენ ისე უნდა მოვეწყოთ რომ... (სალიჩაზე დაეშვება, თავს ქალს ჩაუდებს კალთაში). ოხ რა კარგია, რა კარგი...

საატრ. არს. რასა შვრები? (თმებზე ჭკოტნის). უეჭველად ღვინოში რაღაც ერია... მეძინება. რაღა ვქნა, რომ ველარ გავიღვიძო... ნუ, ნუ კარლოს... ახლა რომ ვინმე შემოვიდეს... გთხოვ... ლაქია...

საატრფ. არს. (დივნის კუთხეში მიეუდებულს სძინავს).

ქმარი. (ბაბირის უკიდებს და ოთახში ბოლთას სცემს).

ქმარი. (დიდსანს დაუშტერდება საატრფიალო არ-

სებს და თავისთვის ამბობს(. ვინ იცის, ვინ არის, რა არის,?... დალახვროს ღმერთმა... ასე ჩქარა... დიდი წინ დაუხედაობა, კი... ჩემის მხრივ...ჰ მ.

სატრფ. არს. (ფეხლებს არ ახელს) უეჭველად ღვინოში რაღაც იყო.

ქმარი. რა იცი.

სატრფ. არს. უიმისოდ...

ქმარი. ყველაფერი ღვინოს რათ აბრალებ?

სატრფ. არს. სადა ხარ? აგრე შორს რათ წასულ ხარ? მო, მომიახლოედი.

ქმარი. (მივა მასთან და ჩამოჯდება).

სატრფ, არს. მითხარ, მართლა გიყვარვარ?

ქმარი. ახლა შენ თითონვე იცი. (ენაზე იკბენს)-

სატრფ. არს. რა აკვირელია?

სატრფ, არს. იცი... ახლა.., მართალი მითხარ: ღვინოში რა იყო გარეული?

ქმარი. რათა გგონია რომ მე... მე მომწამვლელი ვარ.

სატრფ. არს. ეჰ, არაფერი არა მესმის რა... მე ხომ ისეთი არა ვარ... ჯერ ხომ ერთმანეთს არც კი ვიცნობდით... არა მე ისეთი არა ვარ... და თუ შენ ისე ჰფიქრობ...

ქმარი. ჰმ... ნეტა რა თავს იწუხებ? მე შენზე ცუდს არასა ვფიქრობ. ის კი მგონია რომ შენ უნდა გიყვარდე.

სატრფ. არს. დიახ...

ქმარი. გარდა ამისა, როცა ორი ახალგაზდა ქალ-ვაჟი მარტო რჩებიან ოთახში, ვახშმობენ და ღვინოსა სმენ... სრულებით მეტია ღვინის მოწამვლა.

სატრფ. არს. მე მხოლოდ ისე ვსთქვი.

ქმარი. რათა?

სატრფ. არს. მრცხვენოდა.

ქმარი. სასაცილოა. დასარცხვენათ საბუთი არა გქონდა-რა. მით უმეტეს, რომ მე თურმე შენ პირველ საყვარელსა ვგავარ.

სატრფ. არს. კი...

ქმარი. პირველს.

სატრფ. არს. ჰო... დიახ.

ქმარი. ახლა, საინტერესოა ვიცოდეთ ვინ არიან დანარჩენები.

სატრფ. არს. არავინ.

ქმარი. მართალს არ ამბობ... შეუძლებელია.

სატრფ. არს. გთხოვ, ნულარა მტანჯავ.

ქმარი. პაპიროსი არ გინდა?

სატრფ. არს. არა, გმადლობთ.

ქმარი. იცი რომელი საათია?

სატრფ. არს. რომელია?

ქმარი. თორმეტის ნახევარი.

სატრფ. არს. კარგა დრო გასულა?

ქმარი.. მერე დედაშენი რას იტყვის? თუ იგი შეჩვეულია, ჰა?

სატრფ. არს. გინდა რომ სახლში გამაგზავნო?

ქმარი. პირველად აკი შენვე გინდოდა!

სატრფ. არს. რა დაგემართა, რად გამოიცვალე აგრე უცბათ. რა დაგიშავე?

ქმარი. რას ამბობ, ქალო, საიდან იგონებ მაგისთანა სიტყვებს.

სატრფ. არს. პატიოსნებას გეფიცები მხოლოდ შენმა თვალებმა მომხიბლეს, თორემ დიდხანს... ბევრი შემხვეწნია, ცალკე კაბინეტში გავყოლოდი, მაგრამ...

ქმარი. მეორედ აქვე გინდა რომ შევიყარნეთ, თუ სხვაგან სადმე.

სატრფ. არს. არ ვიცი.

ქმარი. რას ნიშნავს ეგ შენი: არ ვიცი.

სატრფ. არს. რაღასა მკითხავ??

ქმარი. მაშ, როდის. მაგრამ უნდა გითხრა რომ მე ვენელი არა ვარ. ვენაში მხოლოდ ხანდისხან შემოვიველი ხოლმე, ერთი ორის დღით...

სატრფ. არს. აბა რას ამბობ. განა შენ ვენელი არა ხარ?

ქმარი. არა ვენელი კი ვარ. მაგრამ ახლა ვენის მახლობლად ვცხოვრობ,

სატრფ. არს. სადა?

ქმარი. ღმერთო ჩემო! განა სულ ერთი არ არის?

სატრფ. არს. ნუ გეშინიან. მე შენთან არ მოვალ...

ქმარი. თუ კი გესიამოვნება, მობრძანდით... მე ვცხოვრობ გრაცში.

სატრფ. არს, მართალს ამბობ?

ქმარი. რასაკვირველია... ან რა არის დაუჯერებელი?

სატრფ. არს. შენ ხომ ცოლიანი ხარ, არა?

ქმარი. (ძალზე გაწითლებული) რათა გგონია?

სატრფ. ა' ს- მე ასე მეჩვენა.

ქმარი. განა ჩემი ცოლიანობა შენ შეგაწუხებს?

სატრფ. არს. შენ რომ უცოლო ყოფილიყავ, ჩეთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა. მაგრამ რახან ცოლი გყავს.

ქმარი. მაინც რათა გგონია, რომ მე ცოლიანი ვარ?

სატრფ. არს. ვინც იძახის, რომ მუდმივ ვენაში არა ვცხოვრობო, ან ვისაც ყოველთვის თავისუფალი დრო არა აქვს...

ქმარი. აქ შეუძლებელი არა არის რა.

სატრფ. არს. მე ეგ არა მწამს.

ქმარი. განა შენ სინიდისი არა გწვავს, რომ ცოლიან კაცს აიძულებ ცოლს ულალატოს?

სატრფ. არს. ნეტავი არ მოჰყვებოდე... შენი ცოლიც ალბად იმასვე სჩადის, რასაც შენ...

ქმარი. (ძალზე აღელვებული) ეი, შენ! მაგისთანა შენიშვნების ნებას ვერ მოგცემ...

სატრფ. არს. მე კი მეგონა, რომ შენ უცოლო იყავ.

ქმარი. ცოლიანი ვარ თუ უცოლო, მაგისთანა შენიშვნის ნებას მაინც არ მოგცემ. (წამოდგება)

სატრფ. არს. კარლოს. კარლოს! რა გემართება? გაჯავრდი? ღმერთმანი არ ვიცოდი, თუ შენ ცოლიანი იყავ... მე ისე ვსთქვი, თუ ხათრი გაქვს, ნუ ჯავრობ.

ქმარი. (რამდენიმე წუთის შემდეგ უახლოვდება) თქვენ მართლაც რომ უცნაური არსებანი ხართ, თქვენ... დედაკაცები (კვალად მოდგება).

სატრფ. არს. გესმის... არ გვინდა... გვიანღაა.

ქმარი. ახლა კი ყური დამიგდე. გულდასმით მოვილაპარაკოთ. მე მინდა რომ ხშირად, ხშირად გხვდებოდე ხოლმე.

სატრფ. არს. მართლა?

ქმარი. მაგრამ ამისათვის საჭიროა... მე უნდა ვიცოდე, რომ სანდო ხარ... შენზე თვალის დაჭერა კი მე არ შემიძლია.

სატრფ. არს. ნურა გეფიქრება რა, ჩემ თავს მევე მოუღლი.

ქმარი. გამოუცდელიაო—კაცმა რომა სთქვას შენზე ეს, რასაკვირველია, არ შეიძლება, მაგრამ ჯერ უმაწვილი ხარ, მამაკაცები კი, როგორც საზოგადოდ ამბობენ, დიდად უსინდისონი არიან.

სატრფ. არს. ოლონდაც... რასაკვირველია.

ქმარი. მე ამას მარტო ზნეობრივის მხრივ არ ვამბობ... იმედია გესმის, რის თქმაც მინდა.

სატრფ. არს. ოხერი ხომ არა გგონიავარ?..

ქმარი. ამ გვარად. თუ მართლა გინდა რომ გიყვარდე, გიყვარდე **მარტო მე**—დაე, თუნდა გრაცშიც ვცხოვრობდე,—მალე ყველაფერზე მოვილაპარაკებთ და რიგიანათაც მოვეწყობით. აქ კი ყოველ წამს შეუძლიანთ თავზე დაგვადგნენ.

სატრფ. არს. (უსმენს)!

ქმარი. ამგვარად, მეორეჯერ სხვაგან შევიყრებით, არა?

სატრფ. არს. შენი ნებაა.

ქმარი. სადაც ჩვენ ხელს ვერავინ შეგვიშლის.

სატრფ. არს. ეგ უკეთესი.

ქმარი. (მსურვალედ გადაეხვევა) დანარჩენზე-კი გზაში მოვილაპარაკებთ... (აღგება და აღებს კარებს) ლაქია... ანგარიში!..

სატრფიალო არსება და პოეტი.

მარჯვე და გემოვნებით მოწყობილი პატარა ოთახი. ფარდები ჩამოშვებულია, ოთახში ნახევარ-სიბნელეა. წითელი შტორები. დიდი სარკე მაგიდა, ქალალდებითა და წიგნებით სავსე. კედლთან პიანინო.

სატრფიალო არსება. პოეტი.

ეს არის ახლა შემოვიდნენ. პოეტი კარებსა ჩაეტაცა.

პოეტი. აბა, ჩემო ძვირფასო (ჩოტნის).

სატრფ. არს. (შლიაპასა და წამოსასხამში). ახ, რა კარგია აქ! მხოლოდ არაფერი სჩანს-რა.

პოეტი. შენი თვალები უნდა მიეჩვევნენ სიბნელეს. ეს სშვენიერი, საოცნებო თვალები... (ჩოტნის თვალებში).

სატრფ. არს. საოცნებო თვალებს მისაჩვევი დრო არა აქვთ.

პოეტი. რატომ?

სარფ. არს. იმიტომ, რომ მე აქ მხოლოდ ერთ წუთს დავრჩები.

პოეტთ. შლიაპას ხომ მოიხდით, არა?

სატრფ. არს. ერთის წუთისათვის?

პოეტი. (შლიაპიდან ქინძისთავებს აცლის და გვერდზე აწყობს). წამოსასხამიც?

სატრფ. არს. რასა სჩადით? ახლავე უნდა წავიდე.

პოეტი. შენ ხომ დასვენება გჭირია. სამი საათი ფეხით დავხეტიალობდით.

სატრფ. არს. ფეხით კი არა, ეტლით დავსეირნობდით.

პოეტი. მართალია აქ ეტლით მოვედით, მაგრამ ვეიდლინგში, წყაროსთან-კი, სამი საათი ფეხით დავდიოდით. აბა, მოისვენე, ჩემო გვრიტიკო. სადა გნებავს... აქ, საწერ მაგიდასთან, უხერხულია. ისევ დივანზე ჩამოჯექ ასე (დასვამს) თუ ძალიან დაიღალე, წამოწოლაც შეგიძლია, აი, ასე (დივანზე დაწვენს) თავი ბალიშზე დასდე.

სატრფ. არს. (იცინის) მე ხომ დაღალული არა ვარ.

პოეტი. აგრე გგონია. დიახ, თუ გეძინება, შეგიძლიან დაიძინო კიდეც. მე კი „ნანას“ დავუკრამ, ჩემ საკუთარ თხუზულებას. (მიდის პიანინოსთან).

სატრფ. არს. შენ თხზულებას?

პოეტი. დიახ.

სატრფ. არს. მე კი მეგონა, რომ შენ ექიმი იყავ, რობერტ.

პოეტი. საიდან გეგონა! ხომ გითხარი მწერალი ვარ მეთქი.

სატრფ. არს. ყველა მწერალი ხომ—იმავე დროს ექიმია.

პოეტი. არა, ყველა მწერალი ექიმი არ არის. მაგალითად, მე—არა ვარ. აგრე რათა გგონია.

სატრფ. არს. ის, რაც უნდა დაუკრა ახლა, შენი თხზულებაა?

პოეტი. დიახ... შეიძლება ჩემიც არ იყოს. ეს, მაინც და მაინც, საყურადღებო არ არის. საზოგადოთ, ავტორის ვინაობა არაფერ შუაშია, ოღონც კი თვით ნაწარმოები იყოს მშვენიერი. მართალს არ ვამბობ?

სატრფ. არს. რასაკვირველია... სიმშვენიერე — აი უმთავრესი!

პოეტი. იცი-კი ამითი რა უნდა მეთქვა?

სატრფ. არს. რითი?

პოეტი. იმითი, რაც ახლა ვსთქვი.

სატრფ. არს. (მძინარედ). რასაკვირველია, ვიცი.

პოეტი. (ადგება. თმაზე სულს დაუსვამს) არაფერიც არ გესმის შენ.

სატრფ. არს. არც ისე სულელი ვარ.

პოეტი. რასაკვირველია, სულელუკა ხარ. სწორედ ამიტომაც მიყვარხარ. მე მომწონს თქვენი ამგვარი სისულელე.

სატრფ. არს. აბა, რას ილანძღები?

პოეტი. ჩემო ანგელოზო, ჩემო საყვარელო. კარგია ხომ ლბილ ხალიჩაზე წოლა?

სატრფ. არს. ოღონდაც... აღარაფერს დაუკრავ?

პოეტი. არა! მე შენთან მინდა ვიყო. (ხელს უსვამს).

სატრფ. არს. სანთელს არ აანთებ?

პოეტი. ოხ, არა! ბინდი კაი გუნებაზე აყენებს ადამიანს. დღეს მთელი დღე მზის სხივებში ვბანაობდით. ახლა-კი—ასე ვსთქვათ —გამოვედით ამ აუზიდან და სალამოს ბინდი ზეწარივით თავს მოვიხვიეთ. (იცინის) ასე არ არის?

სატრფ. არს. არ ვიცი.

პოეტი. (ცოტა განზე გამოიწევს). ღვთაებრივია შენი ასეთი გულუბრყვილობა! (უბიდან წიგნაკს ამოიღებს და შიგ რამდენიმე სიტყვას ჩასწერს).

სატრფ. არს. რას აკეთებ? (მობრუნდება მისკენ) წიგნაკში რას იწერ?

პოეტი. (თავისთვის) მზე, აუზი, ბინდი, ზეწარი... ესეც ასე... (წიგნაკს ჯიბეში ჩაიდებს) (ხმა მაღლა) არაფერს... ახლა მითხარ, ჩემო ძვირფასო, ხომ არა გშიან, ან ხომ არა გწყურია?

სატრფ. არს. წყურვილით არა მწყურია, მაგრამ სიმშილით კი...

პოეტი. ჰმ! რო გწყურებოდა, უფრო სასიამოვნო იქმნებოდა. კონიაკი სახლში მაქვს, საჭმელი კი გარედან უნდა მოვიტანო.

სატრფ. არს. განა ვერავის გაგზავნი?

პოეტი. ცოტა სამძიმოა. ჩემი მოახლე უკვე შინ წასულა... მაგრამ არა უშავსრა, მე თითონ წავალ სავაჭროდ... რა გესიამოვნება?

სატრფ. არს. ეჰ, არა ღირს შეწუხებად... სულ ერთია, ახლავე უნდა წავიდე.

პოეტი. მაგას აზრათაც ნუ გაივლებ, ჩემო გვრიტიკო... იცი როგორ მოვიქცეთ? აქედან რომ წავალთ, გზად სადმე შევუხვიოთ და ვივახშმოთ.

სატრფ. არს. ოჰ, არა. სამაგისოდ არა მცალიან. ან სად უნდა წავიდეთ? ნაცნობი შეგხვდება ვინმე.

პოეტი. განა მაგდენი ნაცნობი გყავს?

სატრფ. არს. საკმარისია ერთმა გვნახოს, რომ დავიღუპო...

პოეტი. რა დაგლუპავს?

სატრფ. არს. შენა გგონია დედაჩემმა რო გაიგოს, პირს დამიკოცნის?

პოეტი. ჩვენ შეგვიძლია ისეთ ადგილას წავიდეთ, სადაც არავინ დაგვინახავს. არის ისეთი რესტორანები, რომელთაც ცალკე კაბინეტები აქვს.

სატრფ. არს. (ჩაიმღერებს) როცა შენთან ცალკე კაბინეტშია...

პოეტი. ყოფილხარ როდისმე ცალკე კაბინეტში?

სატრფ. არს. მართალი გითხრა: ვყოფილვარ.

პოეტი. ვინ იყო ის ბედნიერი?

სატრფ. არს. უკაცრავად შენთან! ცუდ ნურას იფიქრებ. ცალკე კაბინეტში ვიყავით: მე, ჩემი მეგობარი ქალი და მისი დანიშნული. იმათ დამპატიჟეს.

პოეტი. ვითომ დაგიჯერე, კიდეც?

სატრფ. არს. შეგიძლია არ დამიჯერო.

პოეტი. (სულ ახლო მივა). გაწითლდი? არაფერი არა სჩანს-რა: შენ სახესაც ვერა ვხედავ. (დაწვებაზე სელს უსვამს) სულ ერთია, მაინც მეცნობი.

სატრფ. არს. იქნება შეგეცვალო კიდეც.

პოეტი. საკვირველია, რომ შენი გამოხედვა ველარ წარმომიდგენია.

სატრფ. არს. უმორჩილესად გმადლობ...

პოეტი. იცი, მზარავს რომ ველარ წარმომიდგენიხარ. თითქოს სულ დამავიწყდა კიდეც. შენი ხმის ცნობაც რომ აღარ შემეძლოს, მაშინ... რაღა დარჩებოდა შენგან? ერთსა და იმავე დროს ახლოც ხარ და შორსაც. საზარელია.

სატრფ. არს. რაებს ლაპარაკობ?

პოეტი. არაფერს, ჩემო გნგელოზო, სრულიად არაფერს. სადა გაქვს ტუჩები... (ჩეოტნის).

სატრფ. არს. კარგს არ იზავ, რომ სანთელი აანთო?

პოეტი. არ გვინდა... (ძალზე ენერგიულად) მითხარ, გიყვარვარ?

სატრფ. არს. ოხ, ძალიან... ძალიან!

პოეტი. ოდესმე ჩემსავით ვინმე გყვარებია?

სატრფ. არს. ხომ გითხარი—არავინა მეთქი.

პოეტი. აკი... (ოხრავს).

სატრფ. არს. ის ჩემი დანიშნული იყო.

პოეტი. ოხ, ნეტა კი ახლა იმაზე არა ფიქრობდე-და!..

სატრფ. არს. რას სჩადი, ყმაწვილო?.. ხელი გამიშვი.

პოეტი. წარმოიდგინე, რომ ახლა ჩვენ ინდოეთში ვართ... რომელიმე ციხედარბაზში...

სატრფ. არს. ალბად იქ შენსავით ...ნუწკები არ არიან...

პოეტი. რა ღვთაებრივი სისულელეა! ახ ნეტა იცოდე რა ხარ შენ ჩემთვის...

სატრფ. არს. იქით მეთქი.

პოეტი. რა ხელს იკვრევინები? **ჯერ** ხომ არაფერს არ გიშვრები...

სატრფ. არს. მაცალე, კარსეტი მიჭერს.

პოეტი. (წრფელად) გაიხადე.

სატრფ. არს. კარგი... მაგრამ შენ კი ჭკვიანად უნდა იყო.

პოეტი. არ ვიცნები...

სატრფ. არს. (ადგება და ბნელში კარსეტს იხდის).

პოეტი. (დივანზე ზის) ნუ თუ ჩემი ვინაობა, ჩემი გვარის გაგება არ გინდა?

სატრფ. არს. მართლა, რა გვარი ხარ?

პოეტი. გვარის მაგივრათ, იმას გეტყვი რასაც ვირქმევ.

სატრფ. არს. განა რა განსხვავებაა?

პოეტი. დანარქმევი ჩემი სახელია, როგორც მწერლ ისა!

სატრფ. არს. რა"ასადამე შენ თხზულებათ შენ ნამდვილ გვარს არ აწერ?

პოეტი. (მიუახლოვდება).

სატრფ. არს. ახ, თავი დამანებე... არ შეიძლება...

პოეტი. რა სურნელებაა, შენ გარშემო! ნეტარებით ვიბნიდები. (გულზე ჰკოცნის).

სატრფ. არს. ბერანგს ნუ მახევ.

პოეტი. მომაშორე... მომაშორე... ეგ სულ მეტია.

სატრფ. არს. ჰა, რობერტ!

პოეტი. ახლა კი შევალთ საოცნებო ციხედარბაზში.

სატრფ. არს. ჯერ ეს ბითხარი: მართლა გიყვარვარ?

პოეტი. გალმერთებ მეთქი (გატაცებით ჭკოცნის). თაყვანსა გცემ. შენა ხარ ჩემი საუნჯე. ჩემი გაზაფხული, ჩემი...

სატრფ. არს. რობერტ... რობერტ...

პოეტი. ეს არა-ქვეყნიური ნეტარება იყო! მე ჩემ თავს ვეძახი...

სატრფ. არს. ოხ, ჩემო რობერტ, ჩემო რობერტ!

პოეტი. მე ჩემ თავს ვეძახი: ბიბიცს.

სატრფ. არს. ბიბიცი რა სახელია?

პოეტი. ეგ სახელი ამოვირჩიე მწერლობისათვის. იმედია გაგეგონება,

სატრფ. არს. არა!

პოეტი. მაშ ჩემი სახელი—ბიბიცი—არ გაგიგონია? საკვირველებაა, შეუძლებელია? განგებ ეარობ, ხომ?

სატრფ. არს. ღმერთს გეფიცები, ჩემს დღეში არ გამიგონია...

პოეტი. განა თეატრში არ დადიხარ?

სატრფ. არს. როგორ არა, იმ დღესაც ვიყავ.. ჩემ მეგობარ ქალის ბიძასთან ერთად. მერე კიდევ იმ ქალთან ერთად ოპერა „სოფლის პატიოსნება“-ს დავესწარ.

პოეტი. ჰმ... მაშასადამე ბურგთეატრში არ დადიხარ ხოლმე?

სატრფ. არს. იქიდან მუქთა ბილეთი არ მეძლევა.

პოეტი. მე გამოგიგზავნი მუქთა ბილეთს.

სატრფ. არს. აი ეგ კარგია! არ დაგავიწყდეს... მხოლოდ მხიარული წარმოდგენისთვის კი...

პოეტი. ჰმ... მხიარული წარმოდგენა... სამწუხარო კი არ გინდა ნახო?

სატრფ. არს. ისე გულით არ მინდა.

პოეტი. თუნდა ჩემი პიესა, ჩემი თხზულებაც იყოს?

სატრფ. არს მართლა? შენი პიესა?განა შენ თეატრისათვის სწერ?

პოეტი. სანთელს ავანთებ. მას შემდეგ რაც შენ ჩემი სატრფო შეიქმენ, თვალიც არ დამიკრავს,. ჩემო ანგელოზო (სანთელს ანთებს).

სატრფ. არს. უი... მცხვენია. ზეწარი მაინც მომაწოდე..

პოეტი. .მერე მოგაწოდებ (სანთლით ხელში მიდის ქალთან და დიდხანს დასტკბრის).

სატრფ. არს. (სასეზე ხელების დაიფარებს) რობერტ!

პოეტი ლამაზი ხარ. ტურფა. თვით-მშვენიერება. შეიძლება თვით ბუნებაც იყო, შენ სიწმინდე ხარ უბრალოებისა.

სატრფ. არს. ახ, სანთელს ზედ ნუ მაღვენთებ. რა გაუფრთხილებელი რამა ხარ!..

პოეტი. (სანთელს გვერდზე დასდგამს). შენ ის ხარ ვისაც დიდი ხანია ვეძებდი; შენ მარტო **მე** გიყვარვარ და გეყვარები კიდეც, თუნდა უბრალო ნოქარიც ვიყო. ოხ, რა ბედნიერი ვარ. მაგრამ, უნდა გამოგიტყდე ამ წუთშიაც ეშვით ვიტანჯები. ნუ თუ მართლა არ იცი, რომ მე ბიბიცი ვარ?

საკრფ. არს. ვერ გამიგია, რა გინდა ჩემგან, ან რასა მთხოვ? მე ბიბიცს არავის არ ვიცნობ.

პოეტი. ესეც შენი დიდება, სახელი! დავიწყებას მიე ყველა ის, რაც მე გითხარი, დაივიწყე ის სახელიც, რომელიც მე დავირქვი. მე მსურს შენთვის მარტო რობერტი ვიყო. გეხუმრე. (სუმროობით) მე მწერალი კი არა, ნოქარი ვარ და ყოველ საღამოთი სახალხო მომღერალთა კრებაზე როიალს ვუკრავ ხოლმე.

საკრფ. არს. ახლა კი სულ აღარაფერი მესმის-რა... რად მიყურებ აგრე გაბუცებული? რა გინდა? რა გემართება?

პოეტი. მე თითონ არ ვიცი, ჩემო ძვირფასო, რა მემართება... თვალებში ცრემლები მადგება. შენ შეარყიე მთელი

ჩემი არსება. ჩვენ ხომ ყოველთვის ერთად ვიქნებით, არა? და ერთმანეთი ყოველთვისაც გვეყვარება, ხომ?

საკრფ. არს. მართალია, რაც სახალხო მომღერალთა შესახებ მითხარი?

პოეტი. მართალია, მაგრამ მეტს ნუღარასა მკითხავ. თუ გიყვარვარ, მაკმარე. სხვა კითხვებიც და მხოლოდ ის მითხარ, შეგიძლიან თუ არა რამდენიმე კვირას განთავისუფლდე?

საკრფ. არს. როგორ თუ გავნთავისუფლდე?

პოეტი. ისე, რომ აქედან სადმე ერთად წავიდეთ.

საკრფ. არს. კარგია თქვენმა მზემ!!! როგორ შეიძლია! რას იტყვის დედაჩემი? უჩემოდ მთელი ოჯახი ხომ დაიღუპა.

პოეტი. მე კი ისე ნათლად წარმოვიდგინე ჩვენი განმარტოვებითი ცხოვრება. სადმე მიყრუებულ ადგილას, ქალაქ გარედ. ტყეში, ბუნების წიაღთა შორის, ვითომ ვცხოვრობთ ჩვენ რამდენიმე კვირას, ვსტკბებით ბუნებით... ბუნება... ბუნების წიაღი... და მერე, ერთ მშვენიერ დღეს,

ვშორდებით ერთმანეთს და მივდი-
ვართ... ჩვენც არ ვიცით სად.

სატრფ. არს. შენ უკვე ფანშორებაზე ლაპარაკობ? მე კი მეგონა, ძლიერ ეუყვარვარ-მეთქი.

პოეტი. სწორედ იმიტომაც... (დაიხრება და შუბლზე ჰკოცნის) ოხ, საყვარელო არსებავ!

სატრფ. არს. მაგრა მომეხვიე... მცივა.

პოეტი. დროა ტანთ ჩაიცვა. დაიცა, ერთ წყვილ სანთელს კიდევ ავანთებ.

სატრფ. არს. (წამოდგება) აქეთ ნუ მოიხედავ.

პოეტი. კარგი. (ფანჯარასთან) მითხარ, სასურ-ველო, ბედნიერი ხარ?

სატრფ. არს. რა გინდა მაგითი სთქვა?

პოეტი. მე გეკითხები საზოგადოთ—ბედნიერი ხარ, თუ არა?

სატრფ. არს. შეიძლება უფრო ბედნიერი ვყოფი-ლიყავ.

პოეტი. შენ არ გესმის რასაც გეკითხები. ვი-ცი რომ შენ პრინცის ქალი არა ხარ და ოჯახური გარემოებაც ბევრ რამეში გიშლის ხელს, მაგრამ მე გეკითხები—როცა ყოველიფერს ივი-წყებ, როცა გრძნობ, რომ ცხოვ-რობ... საზოგადოთ გრძნობ კი რომ სცხოვრობ?

სატრფ. არს. საკარცხელი არა გაქვს?

პოეტი. (მიდის სასწორისიკარეში მიგიდასთან, აძ-ლევს საკარცხელს და შეეკურების). ღმერ-თო ჩემო, რა მომხიბვლელი რამა ხარ?

სატრფ. არს. კმარა... საჭირო აღარ არის.

პოეტი. დარჩი, გეთაყვა, ჩემთან დარჩი. ვი-ვახშმოთ და მერე...

სატრფ. არს. გვიან-ღაა.

პოეტი. ჯერ ცხრა საათიც არ არის.

სატრფ. არს. მიმეჩქარება ჩემო კარგო.

პოეტი. ერთმანეთს კიდევ როდისა ვნახავთ?

სატრფ. არს. როდის გინდა, რომ მნახო?

პოეტი. ხვალ.

სატრფ. არს. ხვალ რა დღეა?

პოეტი. შაბათი.

სატრფ. არს. არა, ხვალ არ შემიძლია. უნცროსი და მზრუნველთან უნდა წავიყვანო.

პოეტი. მაშ კვირას იყოს... ჰმ... კვირას... კვირას... იცი რა გითხრა მე კი არა ვარ ბიბიცი, ბიბიცი ჩემ მეგობარსა ჰქვიან. როდისმე შენც გაგაცნობ. აი სწორედ კვირას თამაშობენ ბი-ბიცის პიესას, ბილეთს გამოგიგზავ-ნი და წარმოდგენის შემდეგ გაგა-ცილებ, შენ კი მიამბობ მოგეწონე-ბა პიესა, თუ არა, ხომ?

სატრფ. არს. კიდევ ბაბიცი! ალარ გაათავებ იმაზე ლაპარაკს? თავსბრუ დამესხა.

პოეტი. ნამდვილად მხოლოდ მაშინ გაგიცნობ, როცა მეტყვი, როგორ გავლენას მოახდენს შენზე ბიბიცის პიესა.

სატრფ. არს. აბა... მე მზათა ვარ.

პოეტი. წავიდეთ ჩემო ძვირფასო.

(ორივენი მიდიან).

პოეტი და მსახიობი ქალი.

ოთახი სოფლის სასტუმროსი. გაზაფხულის საღამოა, მინდორ-გორაკებს მთვარე დაჰნათის. ფანჯრები ღია. ღრმა სიჩუმეა. შემოდიან პოეტი და მსახიობი ქალი. შემოსვლის დროს პოეტს ხელში სანთელი გაუქრება.

პოეტი. ვაი, მე!..

მსახ. ქ. რა იყო.

პოეტი. სანთელი... მაგრამ საჭირო არც კია. დახე, როგორი სინათლეა. უცნაურია!

მსახ. ქ. (მოულოდნელად ფანჯრისთან დაიჩოქებს და ხელებს სალოცავად მოამზადებს).

პოეტი. რა დაგემართა?

მსახ. ქ. (სდუმს).

პოეტი. რა მოგივიდა-მეთქი?

მსახ. ქ. (გულმოსულად) ვერა ხედავ,—ელოცულობ?

პოეტი. გრწამს შენ ღმერთი?

მსახ. ქ. რასაკვირველია. ვიგინდარა ხომ არა ვარ?

პოეტი. ოჰო!

მსახ. ქ. მოდი და შენც ჩემ გვერდით დაიჩოქე. ერთხელ მაინც ილოცე. არა დაგაკლდება რა!

პოეტი. (მის გვერდით დაიჩოქებს და მოეხვევა).

მსახ. ქ. აი, შე წმინდანუკა! (წამოდგება) იცი ვისზე ვლოცულობდი?

პოეტი. მე მგონია ღმერთს ეევედრებოდი.

მსახ. ქ. (მწარე დაცინვით) ვერ მოგართვეს. მე შენზე ვლოცულობდი!

პოეტი. მაშ, ფანჯარაში რაღას იყურებოდი?

მსახ. ქ. ისა სჯობია ამიხსნა: აქ სად მომათრიე, შე მაცდურო, შენა.

პოეტი. ჩემო ძვირფასო. განა შენვე არ გინდოდა, რომ სწორედ აქ მოვსულვიყავით? ქალაქ გარეთიც ეს არის.

მსახ. ქ. მერე რა, ურიგო ადგილია?

პოეტი. რას ბძანებთ! ჩინებულია. წარმოიდგინე, სულ რამდენიმე ვერსითა ვართ ვენაზე მოშორებული და ასეთი სიჩუმე კია. ახ, რა მიდამოებია!..

მსახ. ქ. რაო? იქნება დაგეწერა რამე კიდეც ნიკუკელა მაინც რომ გქონდეს.

პოეტი. შენ აქ როდისმე ყოფილხარ?

მსახ. ქ. ყოფილხარო? როგორ თუ არა ვყოფილვარ! მთელი წლობით მიცხოვრია!

პოეტი. ვისთან?

მსახ. ქ. რასაკვირველია ფრიცთან.

პოეტი. ჰო, მართლა...

მსახ. ქ. მე იმ კაცს ვაღმერთებდი.

პოეტი. აკი ერთხელ მიამბე.

მსახ. ქ. თუ თავი მოგაწყინე, ახლავე წავალ.

პოეტი. თავი მოგაწყინეო? შენ არც კი იცი, რა ხარ ჩემთვის. შენ—მთელი ქვეყანა ხარ, შენ—ღვთაება, შენ—ნიჭი... შენ... შენ თვით სიწმინდე ხარ უბრალოებისა. დიახ შენ... მაგრამ ფრიცზე ლაპარაკის დრო კი არ იყო.

მსახ. ქ. მართალია, შეცდომა მომივიდა. ჰმ!

პოეტი. კარგია, რომ შენვე გრძნობ.

მსახ. ქ. მოდი ჩემთან, მაკოცე.

პოეტი. (ჰკოცნის).

მსახ. ქ. ახლა კი ერთმანეთს ღამე მშვიდობისა ვუსურვოთ. მშვიდობით, ჩემო საუნჯე.

პოეტი. მაგითი ვითომ რის თქმა გინდა?

მსახ. ქ. სულ უბრალო რამის: ახლავე უნდა დავიძინო.

პოეტი. ჰოო,—მესმის, მაგრამ რაც შეეხება მშვიდობის ღამეს... მე სადღა დავიძინო?

მსახ. ქ. ამ სახლში უეჭველად სხვა ოთახებიც იქმნება.

პოეტი. სხვა ოთახი სრულებითაც არ მიზიდავს... კარგი არ იქმნება, რომ სანთელი ავანთო?

მსახ. ქ. აანთე.

პოეტი. (ანთებს საღამურ მაგიდაზე დადგმულ სანთელს). რა მშვენიერი ოთახია! დახე, როგორი ღვთის მოყვარენიც ყოფილან. სულ ხატებითაა სავსე აქაურობა... კარ-

გი კია აქაურ მკვიდრთა გაცნობა. სულ სხვა ხალხია, სხვა ქვეყანა. მართალი რომ ვსთქვა, ჩვენ ნაკლებათ ვიცნობთ სხვებს.

მსახ. ქ. სისულელის როშვას თავი დაანებე და ეგ აბგა მომაწოდე.

პოეტი. აჰა, ჩემო ძვირფასო.

მსახ. ქ. (აბგიდან პატარა ჩარჩოიან სურათს ამოიღებს და სიღამურ მაგიდაზე სდგამს).

პოეტი. რა სურათია?

მსახ. ქ. მადონნა.

პოეტი. ყოველთვის თან დაგაქვს?

მსახ. ქ. ეს ხომ ჩემი თილისმაა. ახლა კი წადი, რობერტ.

პოეტი. სადაური ხუმრობაა? ხომ არ გინდა მოგეშველო.

მსახ. ქ. არა წადი.

პოეტი. როდის მოვბრუნდე?

მსახ. ქ. ათი წუთის შემდეგ.

პოეტი. (ჩუმად) ნახვამდის!

მსახ. ქ. სად წახვალ?

პოეტი. აქვე, შენის ფანჯრის მახლობლად, ეზოში ვიქნები. მე ძლიერ მიყვარს ღამ-ღამეობით განმარტოვება. საუკეთესო აზრ-ფიქრი ან ამ დროს მომდის ხოლმე და ან მაშინ, როცა შენთანა ვარ... შენის ხელოვნების ზეგავლენასა ვგრძნობ.

მსახ. ქ. შენ ისე ლაპარაკობ, როგორც იდიოტი...

პოეტი. სხვა ქალი კი იტყოდა:—როგორც პოეტი...

მსახ. ქ. ჰა, წადი რაღა! მხოლოდ მოახლეს კი არ აეტორღიალო.

პოეტი. (მიდის).

მსახ. ქ. (ტანთ ისდის. ჯერ კიბეზე და მერე ეზოში, ფანჯრის ქვეშ მოისმის პოეტის ფეხის ხმა. ტანისამოსის გახდის შემდეგ, მსახიობი ქალი მიდის ფანჯარასთან, გადაეყუდება და რა დაინახავს პოეტს, ჩურჩულით ჩასძახებს). მოდი!..

პოეტი. (სიჩქარით შემოდის და გაქანდება მსახ. ქალისკენ, რომელმაც უკვე მოასწრო ლოგინში ჩაწოლა და სანთლის ჩაქრობა).

მსახ. ქ. აბა, ახლა დაჯექი ჩემთან და მიამბე რამე.

პოეტი. (ლოგინზე ჩამოჯდება) ფანჯარა დავხურო? ხომ არა გცივა?

მსახ. ქ. არა! ნუ დახურავ.

პოეტი. აბა, რა გიამბო?

მსახ. ქ. რაც გინდა... აი, თუნდა მიამბე: დღეს ვისა ჰლალატობ.

პოეტი. სამწუხაროდ, ჯერ თვით ღალატი არ ჩამიდენია.

მსახ. ქ. დამშვიდდი... მეც კი ვილასაც ვღალატობ.

პოეტი. ეგ ადვილი დასაჯერებელია.

მსახ. ქ. ვისა ვღალატობ, თუ იცი?

პოეტი. აბა, მე რა ვიცი, გეთაყვა!

მსახ. ქ. თუ ბიჭი ხარ გამოიცნობ.

პოეტი. მოიცა... შენ დირექტორს.

მსახ. ქ. უკაცრავად, მე ხორისტკა არ გახლავარ.

პოეტი. მე ხომ საწყენათ არ მოგახსენე...

მსახ. ქ. ჰა, ვერ გამოიცან?

პოეტი. მოიცა... შენ ღალატობ შენ მეგობარ ბენნოს.

მსახ. ქ. ოლოლო! შენ არ იცი რომ იმ კაცს ქალები არ უყვარს?

პოეტი. შეუძლებელია!

მსახ. ქ. მაშ, მაკოცე.

პოეტი. (ესვეკვ).

მსახ. ქ. ჰა... რას შვრები?

პოეტი. თუ ღმერთი გწამს, ნუ მტანჯავ.

მსახ. ქ. რობერტ! იცი რა გითხრა: მოდი და ჩემთან დაწექი.

პოეტი. ბაშუსტა!

მსახ. ქ. მალე, მალე.

პოეტი. ჩემზე რო ყოფილიყო დამოკიდებული, აქამდისინ დიდი ხნის... გესმის?

მსახ. ქ. რა იყო?

პოეტი. იქ... ჭრიჭინები ჭრიჭინობენ.

მსახ. ქ. შენ, მგონი ცოტა აფრაკად უნდა იყო, ჩემო კარგო, იქ ჭრიჭინებს რა უნდა?

პოეტი. განა იმათი ხმა არ გესმის?

მსახ. ქ. მოდი რაღა, თუ მოდიხარ...

პოეტი. აქა ვარ!

მსახ. ქ. ახლა კი ჭკვიანად იწექ. ჰა... ნელა...

პოეტი. რაღას მიწყრები?

მსახ. ქ. შენ, მგონი ჩემთან შეკავშირებაზე ოცნებობ?

პოეტი. აბა მაგას რაღა ჩიჩინი უნდა..

მსახ. ქ. უკაცრავად, ბევრს სხვასაც უოცნებია...

პოეტი. მაგრამ ამ წუთას ყველაზე მეტი იმედი უცილებლად მე მაქვს...

მსახ. ქ. მაშ, მოდი... მოდი, ჩემო ჭრიჭინა. დღეის შემდეგ ჭრიჭინას დაგიძახებ.

პოეტი. ძალიან კარგი...

მსახ. ქ. აბა, ვის ვატყუებ?

პოეტი. ვისა? იქმნება მე...

მსახ. ქ. შენ, ჩემო კეთილო, უეჭველად ტვინი უნდა გტკიოდეს...

პოეტი. ან იმას... ვინც შენ თავის დღეში თვალით არ დაგინახავს... ვისაც შენ არ იცნობ... ვინც შენი საბედოა, მაგრამ ჯერ ვერ გიპოვნია.

მსახ. ქ. თუ ღმერთი გწამს მაგისთანა სისულელეს ნუ როშავ...

პოეტი. განა საკვირველი არ არის? თურმე შენც... ვინ იფიქრებდა... არა ასეთი

აზრი შენზე, ყოველივე ღირსებას წაგართმევს. უჰ...

მსახ. ქ. ეს ხომ სჯობია უუსულელესს პიესებში თამაშობას... რას იტყვი?

პოეტი. კიდევ კარგი, რომ ხანდახან კაი პიესებშიაც გიჯდება თამაშობა.

მსახ. ქ. სანაძლევოს დავდებ, შე ბრიყვო, რომ ახლა შენსავე პიესას გულისხმობდი.

პოეტი. რასაკვირველია.

მსახ. ქ. (გულიანად) მართლაც ჩინებულია!

პოეტი. და?,.,

მსახ. ქ. შენ გენიოსი ხარ, რობერტ!

პოეიტი. მართლა, იენება ახლა მაინც მითხრა, რატომ იმ დღეს არ ითამაშე? ავად შენ არ იყავ და არაფერი!

მსახ. ქ. შენი გაგულისება მინდოდა.

პოეტი. განა ისეთი რა დაგიშავე? რისთვის?

მსახ. ქ. შენ დიდი იმედი გქონდა შენის თავისა.

პოეტი. რანაირად?

მსახ. ქ. მთელი თეატრიც ასე ჰფიქრობდა.

პოეტი. ოჰო!...

მსახ. ქ. და მეც ვუთხარი: იმ კაცს საბუთი აქვს ამაყობისა მეთქი.

პოეტი. მერე რა გიპასუხეს?

მსახ. ქ. რა უნდა ეპასუხნათ? მე ხმას არავისა ვცემ.

პოეტი. ახ, მართლა!

მსახ. ქ. დიდის სიამოვნებითაც მომწამლავდნენ, მაგრამ ვერ ახერხებენ.

პოეტი. გეთაყვა ახლა სხვებზე ნულარა ჰფიქრობ, გიხაროდეს, რომ აქ ჩვენ ერთადა ვართ და მითხარი: გიყვარვარ თუ არა?

მსახ. ქ. განა მეტი დამტკიცება ღა გინდა?

პოეტი. ეს დამტკიცებულად არ ჩაითვლება.

მსახ. ქ. ძალიან კარგი! სხვა რაღა გინდა?

პოეტი. განა ცოტასათვის დაგიმტკიცებია ამ გვარად? განა ყველა გიყვარდა?

მსახ. ქ. ოხ, არა, მე მხოლოდ ერთი მიყვარდა.

პოეტი. (მოეხვევა) მე?

მსახ. ქ. ფრიცი.

პოეტი. მე კი რობერტი ვარ. მაშ მე რაღა ვყოფილვარ შენთვის, თუ კი ახლაც ფრიცზე ჰფიქრობ?

მსახ. ქ. შენ?—ჩემი ჟინი.

პოეტი. გმადლობ გულახდილობისათვის.

მსახ. ქ. აბა, მითხარ, განა ნება არა გაქვს, რომ იამაყო?

პოეტი. რითი, მაინც და მაინც?

მსახ. ქ. მგონია, საბუთი უკვე ხელში მოგეცი.

პოეტი. აი თურმე რით...

მსახ. ქ. დიახ, ამით, ჩემო ჭრიჭინა! მართლა, რა დაემართათ? ისევ ჭრიჭინობენ.

პოეტი. განუწყვეტლივ. განა არ გესმის?

მსახ. ქ. რასაკვირველია მესმის, მაგრამ ისინი ბაყაყებია, ჩემო მეგობარო.

პოეტი. სცდები; ბაყაყები ყიყინებენ.

მსახ. ქ. რასაკვირველია, ყიყინებენ.

პოეტი. აქ კი ჭრიჭინები ჭრიჭინებენ...

მსახ. ქ. შენისთანა ჯიუტი ადამიანი ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია... ერთი კიდევ მაკოცე, ჩემო ბაყაყო!

პოეტი. უმორჩილესად გთხოვ. მაგისთანა სახელებს ნუ მიწოდებ. ნერვებს მიშლის.

მსახ. ქ. მაშ, რა დაგიძახო?

პოეტი. მე ჩემი სახელი მაქვს—რობერტი.

მსახ. ქ. და მტკნარი სისულელეც გახლავთ!

პოეტი. მაინც გთხოვ, სახელი დამიძახო ხოლმე.

მსახ. ქ. მაშ აგრე, რობერტ, მაკოცე... ახ... (თითონ ჭკოტნის) კმაყოფილი ხარ, ჩემო ბაყაყო? ხა, ხა, ხა, ხა.

პოეტი. ნებას მომცემ, პაპიროსს მოვუკიდო?

მსახ. ქ. ერთი მეც მომაწოდე.

პოეტი. (სადამურ მაგიდიდან აიღებს ჰორტსიგარს, ამოაქვს ორი პაპიროსი, ორთავეს მოუკიდებს და ერთს მსახიობ-ქალს აძლევს).

მსახ. ქ. შენ ჯერ ერთი სიტყვაც არ გითქვამს ჩემის თამაშობის შესახებ.

პოეტი. რომელი თამაშობისა?

მსახ. ქ. არ იცი, რომლისაც?..

პოეტი. ჰოო! მაშინ თეატრში არა ვყოფილვარ.

მსახ. ქ. ხუმრობ თუ?

პოეტი. სრულიადაც არა. რაკი იმ დღეს არ ითამაშე, ვიფიქრე კიდევ ავათ იქნება მეთქი და თეატრში აღარ მოვსულვარ...

მსახ. ქ. ჰკუა წაგიგია!

პოეტი. მართლა?

მსახ. ქ. ეს რაღაც სენსაცია იყო... მაყურებლები სულ გაფითრდნენ.

პოეტი. შენ თვითონ დაინახე?

მსახ. ქ. ბენნომ მითხრა: ისე თამაშობდა, როგორც ღვთაებაო.

პოეტი. ჰმ! იმ დღეს კი ისე ავად იყავ...

მსახ. ქ. რასაკვირველია, ძლიერ ვიყავ ავად. იცი რათა? შენა გნაღვლობდი.

პოეტი. წელანა თქვი შენი გაგულისება მინდოდაო, ახლა კი რას ამბობ...

მსახ. ქ. შენ არც კი იცი, როგორ მიყვარხარ! მთელ ღამეებს ვათენებდი შენზე ფიქრში. თავი მისკდებოდა,,. ორმოცი გრადუსი სიცხე მქონდა... შენ კი აინუშიაც არ აგდებ.

პოეტი. ჟინის დასაკმაყოფილებლად ორმოცი გრადუსი ძლიერ ბევრია.

მსახ. ქ. მე შენის სიყვარულითა ვკვდები, და შენ კი ჟინს უწოდებ?

პოეტი. ფრიცი კი დაგავიწყდა?

მსახ. ქ. ფრიცი?... ნუ გამახსენებ იმ სათოკეს!...

მსახიობი ქალი და თავადი.

მსახიობ-ქალის დიდებულად მორთული საძინო ოთახი. დღის თორმეტი საათია; ფანჯრების ფარდები ისევ ჩამოფარებულია. საღამურ მაგიდაზე სანთელი ანთია. მსახიობი ქალი ჯერ ისევ ლოკინში წევს. საბანზე მრავალი გაზეთი აწყვია. შემოდის დრაგუნთა როტმისტრის ფორმაში გამოწყობილი თავადი. კარებში გაჩერდება.

მსახ. ქ. აა, თავადო...

თავადი. თქვენმა დედამ დამრთო ნება, თორემ მე ვერ...

მსახ. ქ. არაფერია! გთხოვთ მომიახლოვდეთ.

თავადი. ვეამბორები თქვენ ხელს. Pardon—როცა ქუჩიდან კაცი ოთახში შედის... ვერაფერსა ვხედავ. აი თურმე სადა ბრძანებულხართ. (ლოგინთან) ვეამბორები თქვენ ხელს.

მსახ. ქ. დაბრძანდით, თავადო.

თავადი. Maman-მა მითხრა:—უქეიფოთ არისო. ღვთით, მგონი, საიმისო არა გჭირთ რა.

მსახ. ქ. რას ბრძანებთ! კინალამ არ მოვკვდი.

თავადი. ოხ, ღმერთო ჩემო, ნუ თუ?

მსახ. ქ. ყოველ შემთხვევაში თქვენის მხრივ დიდი თავაზიანობაა, რომ მინახულეთ.

თავადი. ვკვდებოდიო! წუხელის კი ისე თამაშობდით, როგორც ღვთაება.

მსახ. ქ. დიახ, მართალია ცოტა გავიმარჯვე.

თავადი. ცოტად კი არა,—დიდებულად, შეუდარებლად! ყველა აღტაცებაში იყო. მე ხომ...

მსახ. ქ. გმადლობთ მშვენიერის ყვავილებისთვის.

თავადი. რა ბრძანებაა...

მსახ. ქ. (თაღლებით უჩვენებს ყვავილებით სავსე კალათაზე, რომელიც პაწია მაგიდაზე სდგას, ფანჯარასთან). აგერ.

თავადი. გუშინ, სწორედ რომ თავით-ფეხამდე ყვავილებით შეგამკეს...

მსახ. ქ. ყველას ნაძღვნევი ჩემს საპირისფარეშოში დავტოვე. მხოლოდ თქვენი კალათა წამოვიღე.

თავადი. (ხელზე ჭკოცნის) გმადლობთ ყურადღებისათვის.

მსახ. ქ. (უცბად აიღებს თავადის ხელს და აკოცებს).

თავადი. ო... როგორ გეკადრებათ, თქვენ...

მსახ. ქ. ნუ გეშინიათ, თავადო, ჩემი ასეთი საქციელი არავითარ ვალს არა გდებთ.

თავადი. უცნაური არსება ხართ, სწორეთ! გამოცანა ხართ, ძნელი გამოცანა (ჰაუზა).

მსახ. ქ. ქალბატონი ბირკენი ხომ ადვილი გამოსაცნობია?

თავადი. რასაკვირველია, პაწია ბირკენი არავითარი

გამოცანა არ არის, თუმცა... ისე დაა. ხლოვებით არ ვიცნობ.

მსახ. ვითომ და...

თავადი. მერწმუნეთ, თქვენ კი ჩემთვის ნამდვილი გამოცანა ხართ და კარგა ხანია ვესწრაფვი კიდეც თქვენ გამოცნობას. ოხ, რამდენი ხანი ვიყავ მოკლებული უძლიერესს სიამოვნებას: რომ იცოდეთ სცენაზე **პირველად** გუშინა განახეთ.

მსახ. ქ. შეუძლებელია... რასა ბრძანებთ!

თავადი. ჩემდა საბედუროდ, ვერ ვახერხებდი თავის დროზე თეატრში მოსვლას, რადგანაც დაჩვეული გახლავართ გვიან სადილობას, ნასადილევს კი რომ მოვდიოდი, კარგი და საყურადღებო სცენები უკვე ნათამაშევი გქონდათ ხოლმე.

მსახ. ქ. მაშ, დღეის შემდეგ, იმედია ადრე ისადილებთ ხოლმე.

თავადი. დიახ, მე უკვე გადავწყვიტე... ან სრულებითაც არ ვისადილებ. მაინც და მაინც რა სიამოვნებაა—სადილობა?

მსახ. ახ, ან კი სხვა რაღა შეადგენს სიამოვნებას, გაყმაწვილებულ მოხუცებულებისათვის?

თავადი. მეც ხშირად ვეკითხები ხოლმე ჩემ თავს, თუმცა ჯერ მე მოხუცი არ დამერქმევა. არა, აქ სხვა რაღაც მიზეზი უნდა იყოს.

მსახ. ქ. თქვენ ასე გგონიათ?

თავადი. დიახ. ლულუს აზრით მე ფილოსოფოსი ვარ; ძალიან ბევრსა ჰფიქრობო.

მსახ. ქ. დიახ... ფიქრიანობა—უბედურებაა.

თავადი. ძალიან ბევრი თავისუფალი დრო მაქვს, და ძალა უნებურად ფიქრებს ვეძლევი ხოლმე. წინად ასე მეგონა, ვენაში რომ გადავიდე გავერთობი, დროს უკეთესად გავატარებ მეთქი, მაგრამ მოვსტყუვდი. აქაც ის არის, რაც იქ...

მსახ. ქ. სად „იქ“?

თავადი. აი თუნდა ჰუნგრეთში, ამ დათვთა ქვეყანაში, სადაც გავატარე მომეტებული ნაწილი ჩემის ცხოვრებისა. ჩემი გარნიზონი იქ იდგა.

მსახ. ქ. ჰუნგრეთში მაინც და მაინც რას აკეთებდით?

თავადი. ვმსახურობდი,—რასაკვირველია.

მსახ. ქ. მაგდენ ხანს რად დარჩენილხართ?

თავადი. ასე მოხდა.

მსახ. ქ. მიკვირს, კაეშანმა ჰკუიდან არ შეგშალათ...

თავადი. რათა, ბატონო? საქმე მაინც და მაინც არ გვაკლდა: ვასწავლიდით ახლად ჯარში გაყვანილებს. ვწურთნიდით და ვამზადებდით ცხენებს და სხვა და სხვა. არც თვითონ ქვეყანაა ისეთი გლახა, როგორ-

ცა ჰგონიათ. მშვენიერი ფართო ხეობაა... ნამეტნავად დიდებული სანახავია მზის ჩასვლისას. რამდენჯერ მინატრია, ნეტა მხატვარი ვიყო მეთქი... ჩვენ პოლკში კი იყო ერთი მხატვარი, ახალგაზდა სპლენი და... მაგრამ, ნეტა, რა სისულელეებს გელაპარაკები...

მსახ. ქ. რასა ბრძანებთ? დიდის სიამოვნებით გისმენთ.

თავადი. მართლადაც თქვენთან ადამიანი თითქოს ენას იდგამს. ლულუმაც ასე დაგახასიათათ. იშვიათი საპოვნელია ასეთი არსება..,

მსახ. ქ. რასაკვირველია, ჰუნგრეთში...

თავადი. არა, ბატონო, ვენაშიაც... ხალხი ყველგან ერთია. სადაც ხალხი ბევრია, იქ მხოლოდ ვიწროობაა—აი მთელი განსხვავება. მითხარით. ნუ თუ თქვენ ხალხი გიყვართ?

მსახ. ქ. გიყვარსო? მეზიზღება! თვალით ვერავის განვიცდი და არც არავისა ვხედავ. მე ყოველთვის მარტოკა ვარ, და სახლშიაც არავის ვუშვებ.

თავადი. წარმოიდგინეთ, რომ მე ყოველთვის სწორედ კაცთ-მოძულე მეგულებოდით. ალბად ხელოვნებამ თუ იქონია თქვენზე ასეთი გავლენა: რასაკვირველია,

როცა ადამიანი უფრო მაღალის იდეალებით არის გატაცებული, როცა იცის, რისთვისაც სცხოვრობს...

მსახ. ქ. ვინ მოგახსენათ? მე წარმოდგენაც არა მაქვს, რისთვისა ვცხოვრობ!

თავადი. მაგრამ... სახელი... დიდება...

მსახ. ქ. მერე თქვენის აზრით განა მაგათშია ბედნიერება?

თავადი. ბედნიერება? მაპატივეთ კი, მაგრამ ქვეყნად ბედნიერება არ არის. საზოგადოდ, რაზედაც უფრო ბევრსა ჰყვირიან, ის სრულებით არც-კი :რსებობს, მაგალითად, სიყვარული და სხვა ამ გვარები.

მსახ. ქ. სრულ ჭეშმარიტებასა ბრძანებთ.

თავადი. დატკბობა... გაბრუვება.. ჰო, კიდევ მესმის, ეს რაღაც რეალური მოვლენაა. აი, მაგალითად, როცა მე ვსტკბები... ძალიან კარგი,—ვიცი რომ ვსტკბები; ანუ როცა ნაღვინევი, ან გატაცებული ვარ — უკეთესს — ვიცი, რომ ეს ასეა. ესეც ნამდვილი, რეალური მოვლენაა. მაგრამ როცა გამოვეხიზლდები, ყველაფერი გაივლის...

თავადი. (დიდ მნიშვნელოვნად) დიახ, გაივლის!

მსახ. ქ. მაგრამ, როცა... არ ვიცი, როგორა ვსთქვა—როცა ადამიანი წუთის ზე გავლენას არ ემორჩილება, ესე იგი, როცა

გამუდმებით ჰფიქრობს მომავალზე. ანუ წარსულზე... მაშინ კი მშვიდობით! მომავალი მწარეა... წარსული—უნიადაგო... ეროის სიტყვით ადამიანი სულ მთლად იბნევა. მართალს არ ვამბობ?

მსახ. ქ. (გაცვიფრებული, თანხმობის ნიშნად თავს უქნევს) თქვენ სწორედ ცხოვრების მთელი არსი შეგიგნიათ.

თავადი. და, აი. როცა კაცი ამას ერთხელვე შეიგნებს, მერე იმისთვის სულ ერთია: იცხოვრებს იგი ვენასა, პუშტესა, თუ შტეინამანგერში. აი, მაგალითად... უკაცრავათ, სად დავდო ჩემი ქუდი? გმადლობთ... ჰო. რაზე ვლაპარაკობდით?

მსახ. ქ. შტეინამანგერზე.

თავადი. დიახ, სრულ სიმართლესა ბრძანებთ... როგორც უკვე მოგახსენეთ, დიდი განსხვავება არ არის... საღამოს ბანქოს სათამაშო სახლში გავატარებ, თუ კლუბში, არსებითად განას სულ ერთი არ არის?

მსახ. ქ. მაგრამ... ყველა ამას სიყვარულთან საერთო რა აქვს?

თავადი. თუ სიყვარულს ვიწამებთ, ერთ ერთი ქალი მაინც შეგიყვარებს-

მსახ. ქ. მაგალითად, ქალბატონი ბირკენი.

თავადი. მე არ მესმის რად ახსენებთ ასე მალ-მალ პაწია ბირკენს.

მსახ. ქ. ის ხომ თქვენი საყვარელია.

თავადი. ვინ მოგახსენათ?

მსახ. ქ. ყველამ იცის.

თავადი. ჩემს გარდა, რასაკვირველია.

მსახ. ქ. იმის გამო თქვენ ხმალშიაც კი გახვედით.

თავადი. იქნება მომკლეს კიდეც, მაგრამ მე ვერა გავიგე-რა!..

მსახ. ქ. ეჰ, თავადო, თქვენ ნამდვილი ჯენტლმენი ხართ. ცოტა ახლოს დაჯექით.

თავადი. თუკი ნებას მიბოძებთ.

მსახ. ქ. აი აქ. (თავისკენ მიიზიდავს და თმებზე ხელს გადაუსვამს). მე ვიცოდი, რომ დღეს ჩემთან მოხვიდოდით.

თავადი. საიდან იცოდით?

მსახ. ქ. გუშინვე გავიგე, თეატრში.

თავადი. განა სცენიდან დამინახეთ?

მსახ. ქ. რა კაცი ხარ! ნუ თუ ვერ მიხვდით, რომ მე მხოლოდ თქვენთვის ვთამაშობდი?

თავადი. ნუ მეტყვი...

მსახ. ქ. პირველ რიგში რომ დაგინახე, თითქოს ფრთები გამომესხაო.

თავადი. ფრთები გამოგესხა? ჩემ გამო? მე კი... როგორ წარმოვიდგენდი, რომ შემამჩნევდით.

მსახ. ქ. თქვენის მედიდურობით სწორედ სასოწარკვეთილებამდის მიიყვანთ ადამიანს.

თავადი. რა ბრძანებაა...

მსახ. ქ. „რა ბრძანებაა“, მაშ, ხმალი მაინც აიხსენით.

თავადი. თუ კი ნებას მიბოძებთ. (ხმალს ისსნის და დოგინზე მიაყუდებს).

მსახ. ქ. არ მაკოცებთ, მაინც...

თავადი. (ჰკოცნის. ქალი სელს ერ უშვებს).

მსახ. ქ. ახ, ნეტა ერთმანეთს თავის დღეში არ შეეხვედროდით.

თავადი. არა, ასე სჯობია.

მსახ. ქ. თავადო, თქვენ სწორედ თვალთმაქცი ხართ.

თავადი. მე? რათა?

მსახ. ქ. წარმოიდგინეთ რა ბედნიერი იქნებოდა ყველა სხვა კაცი თქვენ ადგილას.

თავადი. მე ბედნიერი ვარ.

მსახ. ქ. მე კი მეგონა ბედნიერება არ არსებობს-მეთქი. აგრე რას მიყურებ? მგონია, გეშინიათ ჩემი, თავადო!

თავადი. აკი მოგახსენეთ,—გამოცანა ხართ-მეთქი.

მსახ. ქ. ოხ, თავი დაანებე ფილოსოფიას... დაჯექ ჩემთან და მთხოვე რამე... რაც კი გინდა ყველაფერს მიიღებ, ისეთი ლამაზი ხარ!

თავადი. მაშ, ნება მიბოძეთ (სელზე ჰკოცნის) დღეს საღამოთი თქვენთან გიახლოთ.

მსახ. ქ. საღამოთი... ვთამაშობ.

თავადი. თეატრს შემდეგ.

მსახ. ქ. სხვას აღარაფერსა მთხოვ?

თავადი. დანარჩენს თეატრის შემდეგ მოგთხოვ.

მსახ. ქ. (ნაწყენი) მაშინ დიდხანს მოგიხდება თხოვნა, უბადრუკო თვალთმაქცო!

თავადი. ხედავთ, ანუ ხედავ? აქამდე ჩვენ ერთმანეთს გულ-ახდილად ველაპარაკებოდით... ჩემის აზრით. ყველაფრის ასრულება საღამოზე, თეატრის შემდეგ ემჯობინება... მაშინ უფრო გულმშვიდათ ვიქნებით, ვიდრე ახლა, როცა, ასე მგონია, საცაა კარები გაიღება-მეთქი.

მსახ. ქ. კარები გარედან არ იღება.

თავადი. მაგრამ... ჩემის აზრით, ურიგობაა, როცა კაცი განუსჯელად, წინდაწინვე ახდენს იმას, რაც შემდეგში უფრო მშვენიერი იქმნებოდა.

მსახ. ქ. უფრო მშვენიერი იქნებოდა...

თავადი. მართალი გითხრა, სიყვარული დილით საზიზღრობად მეჩვენება.

მსახ. ქ. შენზე გადარეული ადამიანი ჯერ მეც არ შემხვედრია.

თავადი. მე არას ვამბობ ერთის ჯურის ქალების შესახებ... მათთან სულ ერთია, მაგრამ ისეთი ქალები კი, როგორიც შენა ხარ... არა... შეგიძლია ათასკეცი სულელიც მიწოდო... საუზმემდე... არა... იცი... არა...

მ ახ. ქ. ღმერთო, რა უხამსია!

თავადი. ხომ მიმიხვდი, რაც უნდა მეთქვა. მე ეს ასე წარმომიდგენია.

მ ახ. ქ. აბა, როგორ წარმოგიდგენია.

თავადი. აი: დგას ეტლი, მე ეტლში ვზივარ და გიცდი, წარმოდგენა თავდება, მოდიხარ ჩემთან და მერე ორივენი გავფრინდებით საითმე... სავახშმოთ.

მსახ. ქ. მე მიცდი, თუ ქ-ნ ბირკენს...

თავადი. მე ასეთი არა მითქვამს რა. მე მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ ყველაფერს გუნება უნდა. გუნებაზე კი ვახშმობის დროს მოვდივარ ხოლმე. ნავახშმევს,—და ეს ყველასა სჯობია,—ჩვენ ვბრუნდებით შინა და მერე...

მსახ. ქ. რა **მერე?**

თავადი. მერე... მერე ყველაფერი რიგზე მოხდება...

მსახ. ქ. ჩემ ახლოს მაინც დაჯექი... ახლოს.

თავადი. (ლოგინზე ჯდება) უნდა გითხრა, რომ ბალიშებს... რეზედას სჯნია, არა?

მსახ. ქ. და ძალიანაც ცხელა, ხომ?

თავადი. (ლიხრება და კისერში ეკოცნება).

მსახ. ქ ოჰო, თავადო, ეს ხომ თქვენი პროგრამის დარღვევაა...

თავადი. ვინ მოგახსენათ... მე არავითარი პროგრამა არა მაქვს.

მსახ. ქ. (თავისთან მიიხიდავს).

თავადი. მართლა, რომ ცხელა.

მსახ. ქ. აგრე გგონია?... და ისედაც ბნელა, თითქო სალამოაო... (მსუბუქად მიეკრავს გულზე) უკვე საღამოა... ღამეა... თუ დღე გგონია... თვალები დახუჭე..?

თავადი. (შეცს ადგრ ეწინააღმდეგება).

მსახ. ქ. ახლა რაღასა ბრძანებ გუნების შესახებ, თვალთ მაქცო.

თავადი. შენ პატარა ეშმაკი ხარ.

მსახ. ქ. ეგ რა სიტყვა-პასუხია?

თავადი მაშ---ანგელოზი

მსახ. ქ. შენ კი მსახიობი უნდა ყოფილიყავ არ გეხუმრები. დედაკაცები კარგად გცნობებია. მაგრამ იცი რა გადავწყვიტე?

თავადი. რა?

მსახ. ქ. გადავწყვიტე, თავის გაჩენაში აღარ შეგხვდე.

თავადი. მიზეზი?

მსახ. ქ. არა, არა. შენ საშიშარი კაცი ხარ: დედაკაცს ჭკუიდან გადააგდებ აი ახლაც ი'ე დგეხარ ჩემ წინ, თითქოს აქ არაფერიაო.

თავადი მაგრამ...

მსახ. ქ. კეთილ ინებეთ და მოიგონეთ, თავადო, რომ ამ ერთი წუთის წინად მე თქვენი საყვარელი ვიყავ.

თავადი. ჩემს დღეშიაც არ დამავიწყდება.

მსახ. ქ დღევანდელ საღამოზე რაღასა ბრძანებ?

თავადი. ესე იგი?

მსახ ქ აკი თეატრს შემდეგ ჩემთვის უნდა გეცადნა?

თავადი. დიახ, რასაკვირველია,.., ასე ვსთქვათ, ,ზეგ იყოს..,

მსახ ქ რას ნიშნავს ეგ „ზეგ"? ჩვენ ხომ დღევანდელ საღამოზე ვამბობდით

თავადი. მართალი გითხრა, ამ საღამოთი აბა, რაღა აზრი აქვს?

მსახ. ქ. ბებერო!

თავადი. შენ ვერ მიმიხვდი მე მხოლოდ.. — არვიცი როგორ განვმარტო—მე მხოლოდ ვგულისხმობდი ამ საქმის სულიერ მხარეს.

მსახ. ქ რა ეშმაკად მინდა შენი სული?

თავადი. მერწმუნე, რომ სული მტკიცედაა შეკავშირებული იმ. . და არცა მჯერა, ვითომ შეიძლებოდეს იმისაგან სულის გამოცალკევება, როგორც სხვებსა ჰგონიათ.

მსახ. ქ. მომშორდი შენის ფილოსოფიით! თუ საჭირო იქმნება წიგნებშიაც ,ამოვიკითხავ.

თავადი. წიგნებიდან ვერაფერს ვერ ისწავლი

მსახ. ქ. აი, ეგ მართალია. აბიტომ ,დღეს საღა-

მოთი უნდა მელოდო. რაც შეეხება სულს—როგორც იქმნება შეკვთანხმდებით, ჩემო ცუღლუტო!

თავადი. მაშ თუ ნებას მომცემ, ეტლით მოგიცდი.

მსახ. ქ. შენ მომიცდი აქ, ჩემ ოთახში.

თავადი. ზეგ.

(სმალს გაიკეთებს).

მსახ. ქ. მანდ რას აკეთებ?

თავადი. მე მგონია წასვლის დროა. მართალი გითხრა, ოფიციალურ დარბაზობას ცოტა გადავაჭარბე

მსახ. ქ. ამ საღამოთი კი, იმედია, ოფიციალურ დარბაზობას აღარ გამიწევ.

თავადი. შენ აგრე გგონია?

მსახ ქ. ნება მიბოძე დღევანდელ საღამოზე მევე ვიზრუნო. აბა, ახლა კი ერთი კიდევ მაკოცე, ჩემო პატარა ფილოსოფოსო. აი ასე, შე მაცდურო... შე ცელქო... შე გული-ჭამია თხუნელავ. (რამდენჯერმე მაგრა ჰკოცნის, მერე ძალუმად სელსა ჰკრავს და მოიშორებს) თავადო, ეს ჩემთვის დიდი პატივისცემა აყო.

თავადო. ვეამბორები თქვენ ხელს, Modemoiazelle! (კარებთან) ნახვამდის...

მსახ. ქ. Adieu, შტეინამანგერ!

თავადი და როსკიპი.

დიდის ექვს ს

ღმერთო ჩემო, რა არ დაემართება ჩემი ხნის კაცს! ვერ წარმომიდგენია—ხელით შემომიტანე—თუ? არა... თითქოს მაგონდება—აი, შემოვდივარ ამ ოთახში... დიახ... მაშინ ჯერ არ მძინებია, თუ უკვე არა მძინებია... ან იქმნება ეს ოთახი მაგონებს... პატიოსან სიტყვას გაძლევთ... დიახ... წუხელის თითქოს ყველა ესა ვნახე (სასთს დახედავს) რა! გუშინ—რამდენიმე საათის წინად—ვიცოდი, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო... ამას კარგად ვგრძნობდი... გუშინ, როგორც კი სმა დავიწყე, უცბად ვიგრძენ, რომ... მაინც ნეტა რა მოხდა? მგონი არაფერი... ან იქმნება მოხდა რამე? ღმერსა ვფიცავ... აი უკვე... დიახ, უკვე ათი წელიწადია ი'ეთი არა დამმართვიან-რა, რომ სრულებით არ მახსოვდეს... მოკლეთ რომ ვსთქვა, გუშინ ძალზე მთვრალი ვიყავ. ნეტა ვიცოდე რა დროიდან... ის კი ძალიან კარგათ მახსოვს, რომ მე და ლულუ მოვხვდით ამ გარყვნილ სახლში და... არა, არა. ზახერიდან ჩვენ კიდევ სადღაც წავეხეტეთ და შემდეგ გზიდან... დიახ, დიახ, სრული ჭეშმარიტებაა,

მე და ლულუ ჩემის კარეტით მოვ-
დიოდით... მაგრამ ან-კი თავს რაზე
ვიტეხ? სულ ერთი არ არის? აქედან
უნდა დავიკარგო. (ადგება) ოჰო! (მძი-
ნარე ქალს უყურებს) რა მაგრადა სძინავს
და... თუმცა არ მახსოვს, რომ რამე
იმისთანა ჩამედინოს, მაგრამ ცოტა
ფული მაინც უნდა დავუტოვო... მე-
რე კი მშვიდობით! (დგას ქალის წინ
და გაფაციცებით აკვირდება) ნეტა არ
ვიცოდე მაინც, ვინც არის! (უფრო
უკვირდება) ბევრს ვისმე ვიცნობდი,
მაგრამ არც ერთს ძილის დროს ამის-
თანა მშვიდი და წყნარი სახე არა ჰქო-
ნია. ღმერთმანი... ლულუ მეტყოდა,
რომ კიდევ ვფილოსოფოსობ, მაგრამ...
მაგრამ მე კი მგონია, რომ ძილი ყვე-
ლას ათანასწორებს, ისე როგორც მი-
სივე ძმა—სიკვდილი. ჰმ! მხოლოდ
მინდა ვიცოდე ხომ არ... არა, უეჭვე-
ლად გამახსენდებოდა... არა, არა...
მე მაშინათვე ძილად მივეგდე და...
ჩვენ შორის არაფერი არა ყოფილა...
ვერას გზით ვერ მიმხვდარვარ—ხან
დის ხან ყველა დედაკაცები ერთმა-
ნეთს რათა გვანან ხოლმე. ახლა კი
დროა წავიდე (წასვლა უნდა) მაშ ასე.

(ხსნის სიფულეს და იქიდან ქალაღლის ფულის ამოღებას აპირებს).

როსკიპი. (კაიღფიქებს) ეი... ვინ ამდგარა ასე ადრიანად? (იცნობს) გამარჯობა, მეგობარო!

თავადი. დილა მშვიდობისა. ჰა, კარგა გეძინა?

როსკიპი. (აზმორება) მოდი ჩემთან ერთი გამტლოშნე.

თავადი. (დაიხრება, გადაიფიქრებს და მოშორდება) ეს არის ახლა წასვლას ვაპირებდი.

როსკიპი. წასვლას აპირებდი?

თავადი. ჰო, დროა.

როსკიპი. წასვლა გინდა?

თავადი. (თითქმის შუმგრთალი) ჰო.

როსკიპი. მაშ, მშვიდობით. მეორეჯერ მოხვალ.

თავადი. ჰო... გისურვებ ყოველივე კარგს. არ გინდა თათი მომცე?

როსკიპი. (სპინის ქეშიდან სელს აძლევს).

თავადი. (გამოართმევს, თავის-და უნებურად ჭოტნის, მერე მიხვდება და გაიცინებს) პრინცის ქალივით... მაგრამ თუ კი...

როსკიპი. აგრე რას მიყურებ?

თავადი. ნეტა კვლავაც ქალის სახე მაჩვენა... გაღვიძებისას ყველა უმანკოდ გამოიყურება. ღმერთმანი კაცი ოცნებას მიეცემოდა, რომ-ეს საძაგელი ნავთი ა!ე არა ყარდეს.

როსკიპი. დიახ, ამ ლამფამ საქმე გამიჭირა.

თავადი. მაინც, რამდენი წლისა ხარ?

როსკიპი. რამდენისა გგონივარ?

თავადი. ოცდა ოთხისა.

როსკიპი. როგორ არა!

თავადი. მაშ მეტისა ხარ?

როსკიპი. მეოცეში ვარ.

თავადი. რამდენი ხანია რაც...

როსკიპი. ერთი წელიწადია.

თავადი. ძალიან მალე დაგიწყია!

როსკიპი. ისევ ადრე დაწყება სჯობს, გვიან დაწყებასა.

თავადი. (ქალის დოკინზე ჩამოჯდება) აბა, მითხარ, ბედნიერი ხარ?

როსკიპი. რა მკითხე?

თავადი. მე გეკითხები: კარგადა სცხოვრობ?

როსკიპი. ახლა არა მიშავს-რა.

თავადი. შენ თავის დღეში არ გიფიქრია, რომ შეიძლება უკეთესად გეცხოვრა?

როსკიპი. როგორ თუ უკეთესად?

თავადი. აი თუნდა... შენ ლამაზი ქალი ხარ... შენ შეგეძლო, მაგალითად. საყვარელი გაგეჩინა.

როსკიპი. შენა გგონია რომ მე საყვარელი არა მყავს?

თავადი. კი, მე ვიცი, მაგრამ მე ვამბობ **ერთ-ერთ** საყვარელზე, რომელიც შეგინა-

ხავდა და შენ იძულებული აღარ შეიქმნებოდი, რომ ვიგინდარას გაჰყოლიყავ.

როსკიპი. მე ვიგინდარას მაინც არ მივსდევ მადლობა ღმერთს, მე თვითონ ვირჩევ ხოლმე.

თავადი. (იქაურობას ათვალიერებს).

როსკიპი. (ამას შეამჩნევს) ერთი თვის შემდეგ ჩვენ ქალაქში გადავდივართ, შპიგელგასსის ქუჩაზე.

თავადი. ჩვენ? ვინ თქვენ?

როსკიპი. აი ჩვენი სახლის პატრონი და ყველა ის გოგოები, რომლებიც აქ სცხოვრობენ.

თავადი. აქ სხვა იმისთანებიც სცხოვრობენ?

როსკიპი. დიახ, აქვე გვერდზე სცხოვრობენ. განა ხმაურობა არ გესმის? ის მილლის ხმაა. ისიც გუშინ ყავახანაში იყო.

თავადი. იქ ვილაც ხვრინავს.

როსკიპი. ჰო და ის არის მილლი. იგი საღამოსაკ საათამდე იხვრინებს და მერე კი ყავახანაში წავა.

თავადი. უბედური ცხოვრება გქონიათ.

როსკიპი. რასაკვირველია. სახლი პატრონიც ძალზე ილანძღება ხოლმე... და მე ნაშუადღევიდან ქუჩაში გავდივარ.

თავადი. ამ დროს ქუჩაში რა საქმე გაქვს?

როსკიპი. რა უნდა გავაკეთო? ვეძებ... სამუშაოს.

თავადი. ჰო, მესმის, მესმის. (აღგება სიფულდან ქალაღდის ფულს ამოიღებს და სალამურ მაგიდაზე სდებს) Adieu.

როსკიპი. მაშ, მიდიხარ... მშვიდობით. ნუ დამივიწყებ, მალე ისევ მოდი. (მეორე გვერდზე გადაბრუნდება).

თავადი. (ისევ იქა სდგას) მითხარ, გეთაყვა არა გწყინს?

როსკიპი. რა?

თავადი. ესე იგი, შენთვის სულ ერთია?

როსკიპი. (ამოქსარებს) მეძინება.

თავადი. შენთვის სულ ერთია ყმაწვილი იქმნება, თუ ბებერი?..

როსკიპი. რას მეკითხები?

თავადი. გესმის... (უცბათ რაღაც მოაგონდება) ღმერთმანი, ახლა კი ვიცი ვისაც მაგონებ. ეს...

როსკიპი. ვისმესა ვგავარ?

თავადი. უსათუოდ, უსათუოდ. გთხოვ, ერთ წუთას გაჩუმდე... (უცქერის) ნამდვილად იმის სახე, იმის ნაკვთები (უცბად თვალებში ჭკოცნის).

როსკიპი. კმარა!

თავადი. ღვთის მადლმა, ვწუხარ რომ შენ... სხვა გვარი არ ხარ. შეიძლება ბედნიერება გეპოვნა.

როსკიპი. შენ სწორედ ფრანცსავით იქცევი.

თავადი. ვინ ფრანცია?

როსკიპი. ჩვენი ყავახანის ლაქია...

თავადი. მერე, რაში ვგევარ?

როსკიპი. ისიც ყოველ წუთს იმას ჩამჩიჩინებს: ბედს იპოვნიდიო და თან მთხოვს: ცოლად გავყვე.

თავადი. მერე რატომ არ ეთანხმები?

როსკიპი. მადლობას მოგახსენებ. არა. არას გზით არ გავთხოვდები... შეიძლება შემდეგ, — კი... როდისმე...

თავადი. თვალები... სწორედ იმის თვალებია. ლულუ დურაკს დამიძახებს მაგრამ მე კი ერთხელ კიდევ გაკოცებ თვალებში. ახლა კი მშვიდობით. მივდივარ.

როსკიპი. მშვიდობით.

თავადი. (კარებთან) მითხარ: განა არ გიკვირს?

როსკიპი. რა.— მაგალითად?

თავადი. რომ მე, შენ არასა გთხოვ?

როსკიპი. ზოგი კაცი დილით გუნებაზე, არ არის ხოლმე...

თავადი. რასაკვირველია (თავისთვის) განა სისულელე არ არის, რომ მგონია, ამას რამე გაუკვირდება!.. ჰმ. მშვიდობით... (კარებში) მართალი გითხრათ, მწყინს. მე ვიცი რომ იმისთანა ქალებისათვის უმთავრესი— ფულებია... კიდევ კარ-

გია, რომ ის არა თვალთმაქცობს. (იმას) მე კიდევ მალე მოვალ.

როსკიპი. (თვალ დასუნწული) კარგი.

თავადი. რა დროსა ხარ ხოლმე სახლში?

როსკიპი. მე ყოველთვის შინა ვარ. იკითხე ლეოკადია.

თავადი. ლეოკადია... კარგი. გისურვებ ყოველივე სიკეთეს (კარებთან) ჯერ ისევ თავში ღვინო მიბრწყინავს... წარმოუდგენელია, რომ ადამიანი ამისთანა არსებასთან იყოს და მარტო თვალებში კოცნით დაკმაყოფილდეს. ამასაც ხომ არ ვიზამდი, ვისთვისმე რომ არ მიმეგზავსებინა. (მიუბრუნდება ქალს) ლეოკადია! ხშირად მოხდება ხოლმე, რომ შენგან ისე მიდიან?

როსკიპი. როგორ?

თავადი. როგორც მე...

როსკიპი. დილით?

თავადი. არა. განა ისეთი ვინმე ყოფილა შენთან რომ არა ეთხოვნოს რა?

როსკიპი. არასოდეს. ისეთი არავინ ყოფილა.

თავადი. მაშ, მე რათ მივდივარ ასე? იქმნება გგონია, რომ არ მომწონდე?

როსკიპი. რატომ არ უნდა მოგწონდე? წუხელის კი მომიწონე—და!...

თავადი.. შენ ახლაც მომწონხარ.

როსკიპი. წუხელის უფრო მოგწონდი.

თავადი. რათა გგონია?

როსკიპი. აბა. რა სისულელესა მკითხავ?

თავადი. წუხელის? განა მაშინათვე ძილად არ მივეგდე?

როსკიპი. რასაკვირელია... ჩემთან ერთად...

თავადი. შენთან ერთად?

როსკიპი. ნუთუ სრულებით არ გახსოვს?

თავადი. მაშასადამე მე... ჩვენ...

როსკიპი. ამის შემდეგ, მაშინვე დაგეძინა.

თავადი. ამის შემდეგ... მაშ, სჩანს, რომ ის ყოფილა...

როსკიპი. დიახ, საყვარელო... ალბად შენ ძალიან მთვრალი იყავ. რომ აღარ გახსოვს.

თავადი. მაშ აგრე... მაინც და მაინც ეს შორეული მსგავსება... მშვიდობით (ეუბნ წუგდებს) რა ამბავია?

როსკიპი. მოახლეს გაულვიძნია. როცა მიდიოდე, ცოტა რამ აჩუქე. ალაყაფის კარები უკვე ღიაა და მეეზოვისათვის აღარაფერი დაგჭირდება.

თავადი. კარგი (დერეფანში) რა კარგი იქმნებოდა, რომ თვალებში კოცნის მეტი არა ყოფილიყო—რა. მაშინ სწორედ რომანი

გამოვიდოდა. ალბად არა მწერებია...
(მოახლე მოდის და კარებს ადებს) აჰა,
ეს შენ... ღამე მშვიდობისა.

მოახლე. დილა მშვიდობისა მოგცეს ღმერთმა.

თავადი. დიახ... რასაკვირველია... დილა მშვიდ-
ბისა... დილა მშვიდობისა...